# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 27 თებერვალი 2007 №43 (2966) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრემიერყოფილის ოცნების პრემიერა

## სილვიო ბერლუსკონის სუპერ: რაც ვერ შევძელი იტალიისთვის, შევძლებ მილანისთვის







იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, „მილანის“ პატრონმა სილვიო ბერლუსკონიმ სახალხოდ თქვა, რომ ზაფხულში რონალდინიოს და ჯანლუიჯი ბუფონის შეძენას ეცდება.

„შავ-წითლები“ რომ აქამდეც დიდ ინტერესს იჩენდნენ „ბარსელონას“ შემტევით და „იუვენტუსის“ მეკარით, ცნობილი ამბავია, თუმცა ამ თემაზე ბერლუსკონის კომენტარი ალბათ მხოლოდ კომენტარი არ უნდა იყოს — იტალიური გაზეთების მტკიცებით, საქმეს უფრო სერიოზული სუნი უდის.

მაშ ასე, უკვე ძალიან საინტერესოდ და ინტრიგულად ჩანს: გახდებიან რონალდინიო და ბუფონი კახა კალაძის თანაგუნდელები?




## თხლაშ!

ლინკოლნმა შნაიდერს გადაუარა 6



## წავედი!

იან ულრიხმა რიხი დაკარგა! 14

# დიდი ამბავი

## როჯერ ფედერერი ყველას ზემოდან დაჰყურებს

იხილეთ 13 გვერდი



AFP ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვარაცხელიას მორიგი შეტევა: ლარი და ცირკულარი

## რატომ გაქრა შეღავათები მსაჯებისთვის? რატომ არ უჯერებს ფედერაცია ფიფას?



ვაჟა ლომჯარიაშვილის ფოტო

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მორიგი არჩევნები წლეულს უნდა გაიმართოს, სავარაუდოდ მაისში ან ივნისში, ზუსტი თარიღი კი ფეხბურთის ფედერაციას ჯერ არ დაუდგენია. უცნობია ისიც, თუ ვინ იქნება ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი და როგორ იქნება განსაზღვრული საარჩევნო პროცედურები.

მამუკა კვარაცხელია კი ერთადერთია, ვინც ამ ეტაპზე დაუფარავად აცხადებს, რომ პრეზიდენტობა სურს. ყოფილი ჟურნალისტი, თბილისის „დინამოს", „თბილისის" და ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრესატაშე, უეფას მედია-ოფიცერი — ქართული საფეხბურთო სამყარო კვარაცხელიას კარგად იცნობს.

კვარაცხელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე ოპოზიციონერია და გუშინ მორიგი პრესკონფერენცია მოაწყო ჭადრაკის სასახლეში. წინა პრესკონფერენციაზე კვარაცხელიამ ფინანსური დოკუმენტებით შეუტია ფედერაციას, გუშინდელი პრესკონფერენციის მთავარი თემა კი მსაჯობა იყო.

— ფიფამ 2001 წელს გაუგზავნა ცირკულარი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. ამ ცირკულარში მოცემულია ის ძირითადი მიმართულებები, რითაც უნდა იხელმძღვანელონ ფიფას წევრმა ეროვნულმა ფედერაციებმა. ცირკულარის ერთ-ერთ პუნქტში წერია, რომ ეროვნულ ფედერაციებში მსაჯთა კომიტეტს მსაჯობის გამოცდილების მქონე კადრი უნდა ხელმძღვანელობდეს, ხოლო მოქმედი მსაჯები ამ კომიტეტში არ უნდა შედიოდნენ. ცირკულარში ისიც წერია, რომ მსაჯებს მხოლოდ ფეხბურთის ფედერაცია უნდა აკონტროლებდეს და მეტი არავინ, მათ შორის არც პროფლიგა. ჩვენთან კი ყველაფერი პირიქით ხდება, მსაჯებს ფულს პროფლიგა უხდის, ხოლო მსაჯების უფროს ამირან კაჭახიძეს არანაირი სამსაჯო გამოცდილება არ გააჩნია.

— ცირკულარის თანახმად, ეროვნულ ფედერაციას მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაციამ უნდა წარუდგინოს იმ მსაჯთა სია, რომლებიც თამაშებს მოემსახურებიან. მსაჯთა ასოციაცია ჩვენთან ფორმალურად თუ არსებობს, ფაქტობრივად კი გაუქმებულია, მხოლოდ მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტი არსებობს, რომლის ხელმძღვანელი კაჭახიძეა. იურიდიულად ეს კომიტეტი მსაჯთა ასოციაციაში უნდა შედიოდეს. კაჭახიძის მიმართ არანაირი პიროვნული პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ ფიფას ცირკულარიდან კარგად ჩანს, რომ ასეთ თანმდებობაზე კაჭახიძე არ უნდა დაენიშნათ.

— ერთ ფაქტსაც გეტყვით. მსაჯებს ამას წინათ შეკრება ჰქონდათ ქობულეთში და მათ ნორმატივებს იქ თურმე კაჭახიძის ვაჟი იბარებდა, ვისაც ამის არანაირი უფლებმოსილება არ გააჩნია.

— სანამ ახალკაცი გახდებოდა ფედერაციის პრეზიდენტი, ბევრი რამ სხვანაირად იყო. ტარდებოდა გარდაცვლილ მსაჯთა სახელობის ტურნირი, რომელსაც საქველმოქმედო მიზანიც ქონდა — ფედერაცია გარდაცვლილის ახლობლებს ეხმარებოდა. ახალკაცმა გააუქმა მსაჯთა დღე, რომელიც 19 ივნისს აღინიშნებოდა; ახალკაცმა გააუქმა სამგზავრო შეღავათები იმ მსაჯებზე, რომელთაც რიკოთის იქით უწევდათ წასვლა მივლინებაში; ახალკაცმა გააუქმა ის შეღავათიც, რომლითაც რიკოთსიქიდან ჩამოსული მსაჯები სარგებლობდნენ — თბილისში ნაკრების ბაზაზე ათევდნენ ღამეს. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ახალკაცის პრეზიდენტობამდე მსაჯებს უფრო მეტი ანაზღაურება ქონდათ.

მსაჯების გარდა პრესკონფერენციაზე კვარაცხელიამ სხვა თემებზეც ისაუბრა. ერთხელაც აღნიშნა, ახალკაცი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია, მაგრამ ფაქტობრივად გერმანიაში ცხოვრობსო. კვარაცხელიამ ისიც თქვა, ფედერაციას ჯერაც ვერ დაუნიშნია პრეზიდენტის არჩევნების თარიღი და ჯერაც უცნობია, თუ რა პროცედურებია გასავლელი და რა ვადებში უნდა დადგინდეს პრეზიდენტობის კანდიდატთა ვინაობა.

კვარაცხელიასგან ისიც შევიტყვეთ, ფედერაციამ ნოდარ ახალკაცის მიერ კონტრაქტის ამოწურვამდე დათხოვნილი ეროვნულ ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, ალენ ჟირესის დავალიანების დასაფარავად 2006 წლის ბიუჯეტში 332 000 ლარი გამოჰყო და ალბათ ჟირესმა ეს თანხა უკვე მიიღოო.

**დავით თავართქილაძე**

## პორტუგალია

სუპერლიგა
XIX ტური

მარიტიმუ 2:1 ლეირია
ბრაგა 2:1 ამადორა
ბენფიკა 3:1 ფერეირა

## იტალია

სერია B. XXV ტური

მოდენა 0:1 იუვენტუსი

## რუსეთი

თასის მერვედფინალი
პირველი მატჩი

მოსკვა 3:0 ამკარი

თასის მერვედფინალი
საპასუხო მატჩები

*კრილია* 2:0 ცსკა (0:0)
სიბირი 1:3 *სპარტაკი (მ)* (0:1)

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა
XVIII ტური

უიპეშტი 4:2 ჰონვედი

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXIII ტური

დუისბურგი 1:2 ჰანზა

## რუმინეთი

პირველი ლიგა. XX ტური

დინამო 1:0 პეტროსანი

## ინგლისი

ჩემპიონატი
XXXV ტური

სტოკი 0:1 ბარნსლი

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XXVI ტური

გრენობლი 2:1 ლე ავრი



# ალექსანდრე იაშვილი ბუნდესსამეულშია

**გერმანიის** მეორე ბუნდესლიგის ბოლო ტურში ორი ქართული დერბი უნდა ყოფილიყო, „კარლ ცაისი" — „მიუნხენ 1860" და „ფრაიბურგი" — აუე, მაგრამ მიუნხენელ მათე ღვინიანიძის ტრავმამ და დავით სირაძის ავადმყოფობამ ჩვენებურთა დაპირისპირება ჩაშალა.

„ფრაიბურგის" მოგებაზე და ალექსანდრე იაშვილის გოლზე გუშინდელ „სარბიელში" გამცნეთ, დღეს კი იმას დავამატებთ, რომ ამ გოლით იაშვილმა ნომინაციაში „გოლი-პასი" მესამე ადგილზე აინაცვლა. „იაშის" მიმდინარე სეზონში ოთხი გოლი და თერთმეტი საგოლე პასი დაუგროვდა, რაც ჯამში 15 ქულაა და ერთით ჩამორჩება დუისბურგელ მუხტარს, ხოლო ექვსით — კარლსრუელ ფედერიკოს. საგოლე გადაცემებით კი იაშვილს ლიგაში ბადალი არ ჰყავს.

„კარლ ცაისს" მშველელად ქართველები მოევლინენ. მიხეილ აშვეთიამ პირველი დუბლიც მიითვალა, ხოლო გიორგი ლომაიამ კარი ორჯერ შეინახა მშრალად. ბავარიელებთან მატჩის შემდეგ იენელთა მწვრთნელ ჰაიკო ვებერს ახალწვეულებზე დაეკითხნენ და მისი პასუხი ასეთი იყო — ტაპალოვიჩი, ფოიგტი, ლომაია და აშვეთია ჩვენი საუკეთესო შენაძენები არიან, დღეს ისინი გუნდის ღერძს წარმოადგენენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დემეტრაძე მოსამართლის მოთხოვნას დააკმაყოფილებს

**2 მარტს** კიევში, პეჩორის რაიონულ სასამართლოში „დემეტრაძის საქმის" მორიგი მოსმენაა. მოსამართლე ირინა ლიტვინოვამ დონეცკის „მეტალურგის" შემტევის, გიორგი დემეტრაძის სასამართლოში გამოცხადება მოითხოვა. ჩვენებური სასამართლოს მეორე სხდომას რომ დაესწრება, ამის შესახებ „მეტალურგის" ვიცე-პრეზიდენტმა დმიტრი სელიუკმა განაცხადა:



— დემეტრაძე სასამართლოში მივა. ის იტყვის, რომ კონსტიტუციის თანახმად სურვილი აქვს ისარგებლოს იმ უფლებებით, რითიც სარგებლობენ უკრაინელები. ყველა დანარჩენ კითხვას პასუხს იურისტები გასცემენ. თუმც მე სხვა საკითხი მაღელვებს — რატომ იძახებენ სასამართლოში მხოლოდ დემეტრაძეს და არა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ სურკისს, ან პროფლიგის პრეზიდენტ საფიულინს? მაგრამ მათ იციან, რომ ამ პროცესს წააგებენ, რადგან დემეტრაძის სარჩელი უცხოელების დისკრიმინაციის წინააღმდეგ არის მიმართული და არა შრომითი ხელშეკრულების გასარჩევად.

სელიუკმა ასევე დასძინა, რომ „მეტალურგის" მთავარი მწვრთნელი კო ადრიანსე დემეტრაძის სასამართლოში მისვლის წინააღმდეგია, რადგან გუნდს 4 მარტს საჩემპიონატო მატჩი უწევს ალჩევსკის „სტალთან", მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობის სურვილია, ეს პროცესი რაც შეიძლება, მალე დასრულდეს.

სელიუკმა განაცხადა, რომ „მეტალურგი" ასევე მზად არის, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის მიმართ კიდევ ერთი სარჩელი აღძრას.

„ფედერაცია თითოეულ ლეგიონერზე კლუბიდან 15 ათას დოლარს უკანონოდ იღებდა, თუ უახლოეს აღმასრულებელ სხდომაზე ფედერაცია არ შეცვლის ამ ნორმას, მაშინ ჩვენ სარჩელს შევიტანთ და მოვითხოვთ გადახდილი თანხების უკან დაბრუნებას" — დასძინა სელიუკმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ილია სპასოევიჩი — უფულობიდან დინამოში

## ჩერნიგორიელი ურთიერთობამ გააკვირვა

**თბილისის „დინამოს“ ჩერნიგორიელი ფორვარდის ილია სპასოევიჩის ქართული დებიუტი საუკეთესოდ დაიწყო, პირველივე მატჩში „ბორჯომთან“ გოლი გაიტანა, მისმა გუნდმა კი თამაში მოიგო. ილია 19 წლისაა, „დინამოში“ სერბეთის პირველი ლიგის „უელარელოვიდან“ მივიდა. იყო სერბია-ჩერნიგორიის 19-წლამდელთა ნაკრების წევრი, ახლა კი ჩერნიგორიის ახალგაზრდული გუნდის კანდიდატია. იღბალიანი დებიუტიც რომ არა, სპასოევიჩთან სასაუბრო თემები ისედაც გვქონდა. საქართველო ლეგიონერების სიმრავლით მაინცდამაინც განებივრებული არ არის და ჩამოსულებთან კითხვებიც ბუნებრივად ჩნდება. რა იცოდა საქართველოზე, როგორია პირველი შთაბეჭდილება... თანაც ილია სპასოევიჩი გულღია და სასიამოვნო მოსაუბრე გამოდგა**



— ძალიან კმაყოფილი ვარ, ახალ გუნდში ისეთი გარემო დამხვდა, როგორსაც მიჩვეული ვარ და მსიამოვნებს. დიდი მადლობა ხელმძღვანელობას, მწვრთნელებსა და ბიჭებს, მათ თბილად მიმიღეს და პირველივე დღიდან მაგრძნობინეს კეთილგანწყობა — გვითხრა სპასოევიჩმა, ვისაც გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ ვესაუბრეთ — ახალ გუნდზე შთაბეჭდილება ჯერ კიდევ ანთალიაში პირველი ნაცნობობის შემდეგ შემექმნა, მაშინვე მივხვდი, რომ კარგ და ძლიერ გუნდში აღმოვჩნდი. „დინამოში“ სახლის მონატრებაც კი შემიმსუბუქდა. მოკლედ, თბილისში და „დინამოში“ თავს მშვენივრად ვგრძნობ.

— როცა საქართველოში მოდიოდი რას ფიქრობდი, სად მივდივარო...

— ვიცოდი, როგორ ქვეყანაში მივდიოდი, ვიცოდი „დინამო“ და ამ გუნდის წარმატებები, ვიცოდი, რომ სახელოვანი გუნდი მელოდა. ჩამოვედი ამბიციურ გუნდში და ახლა მსურს, ჩემი ამბიციაც გუნდის შესაბამისი იყოს — „დინამოში“ საქართველოს ჩემპიონი უნდა გავხდე.

— ისეთ ქვეყანაში ჩამოხვედი, როგორსაც ელოდი?

— დიახ, საქართველო და „დინამო“ როგორიც წარმომედგინა, თითქმის ყველაფერი ისეთი დამხვდა.

— თითქმის როგორ გავიგოთ? ყველაზე მეტად რამ გაგაკვირვა?

— ურთიერთობამ! ნამდვილად არ ველოდი საქართველოში ასე თბილად თუ მიმიღებდნენ. ჩემზე ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება სწორედ ასეთმა ურთიერთობამ მოახდინა. თანაც ქალაქიც ძალიან მომეწონა. საქართველოში ყველაფრით კმაყოფილი ვარ.

— ჩემპიონატის დონითაც?

— ცხადია. როცა სერბეთ-ჩერნოგორიის ჩემპიონატში ვთამაშობდი, იქ ჩემპიონობისთვის მხოლოდ „ცრვენა ზვეზდა“ და „პარტიზანი“ იბრძოდნენ, სხვა გუნდები კი მათზე გაცილებით დაბალი დონის იყვნენ, პირველობის მცირე შანსიც რომ არ ჰქონდათ. სერბეთში მგონი ახლაც ასეა. საქართველოში კი „დინამოს“, „ამერს“, „ოლიმპს“ და „ზესტაფონს“ ჩემპიონობის თანაბარი შანსი აქვთ. თანაც აქ გაცილებით ნაკლებია ისეთი მატჩები, იოლად რომ შეგიძლია მოიგო. საქართველოში [illegible] ჩემპიონატი ვიდრე სერბეთ-ჩერნიგორიაში იყო.

— 19 წლის ფეხბურთელიც სამშობლოდან ამიტომ წამოხვედი?

— ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. საქართველოს ჩემპიონატში უკეთესს ფეხბურთელად გაზრდის მეტი შანსი მაქვს, ვიდრე სამშობლოში. თანაც, ახლა, ჩერნიგორიაში კლუბებს ძალიან უჭირთ, ფინანსური პრობლემები აქვთ, „დინამოში“ და რამდენიმე სხვა ქართულ გუნდში კი ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა.

— აბა „დინამოს“ შემოთავაზებულ პირობებს უპრობლემოდ დათანხმდებოდი...

— დიახ, კონტრაქტზე მოლაპარაკებას დიდი დრო არ დასჭირვებია, „დინამომ“ მისაღები პირობები შემომთავაზა და კმაყოფილი ვარ, სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე.

— „დინამოში“ კი ისეთი დებიუტი გამოგივიდა, ალბათ უკეთესს ვერც ინტარებდი...

— რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ, რომ პირველსავე შეხვედრაში გოლი გავიტანე, „დინამომ“ კი სამი ქულა მოიპოვა. „ბორჯომი“ ცუდი გუნდი არ არის, საკმაოდ დაძაბული და საინტერესო მატჩი იყო. პირველ ტაიმში ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ შესვენების შემდეგ მეტოქე ფიზიკურად დავჯაბნეთ... ჯერ „ამერი“ — „დინამოს“ სათასო მატჩი ვნახე, მერე „ბორჯომთან“ ვითამაშე და ამ ორი შეხვედრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჩემპიონობის მოპოვება ნებისმიერი გუნდისთვის ურთულესი საქმე იქნება. თუმცა ფასიც სწორედ ასეთ გამარჯვებას აქვს.

**კობა ინასარიძე**

# ვასილ გიგიაძემ გოლიათებს გაუტანა



**მომავალ** უქმეებზე უკრაინის ჩემპიონატი განახლდება და გუნდებიც ბოლო საკონტროლო მატჩებს მართავენ.

როგორც იქნა, კიევის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი დემიანენკომ სასტარტო შემადგენლობაში დააყენა *კახა ალადაშვილი*. „დინამო“ ქვედალიგელ შვეიცარიულ კლუბ „შოცს“ შეხვდა და 5:0 გაანადგურა. ჩვენებური კარგად გაისარჯა და მე-14 წუთზე გოლიც გაიტანა.

„დინამოში“ ისევ არ უთამაშია *ოთარ მარცვალაძეს* — ტრავმის შემდეგ მას ჯერაც სარეაბილიტაციო პერიოდი აქვს. *დავით იმედაშვილი* კი ლატვიის ჩემპიონ „ვენტსპილსშია“ განათხოვრებული.

ზედიზედ მეორე მატჩია, გოლი გააქვს *ვასილ გიგიაძეს*. „კრივბასის“ კაპიტანი ამჯერადაც თერთმეტმეტრიანით გამოირჩა — კრივოიროგელებმა 2:0 მოუგეს პეტროპავლოვსკის „ბოგატირს“. გიგიაძე 75-ე წუთზე შეცვალეს, იმავე წუთზე შევიდა მოედანზე *ვლადიმერ ბურდული*.

დნეპროპეტროვსკის „დნიპრო“ ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიასთან“ 0:3 ჩაფლავდა. *ჯაბა კანკავამ* სრულად ითამაშა, *რევაზ ბარაბაძე* კი განაცხადშიც არ ყოფილა.

*ლაშა ჯაკობიას* „არსენალი“ კი ჩემპიონატის განახლების წინ ბოლო შეკრებაზე ტირასპოლში გაემგზავრა და ჩვენებურიც იახლა. კიეველები მზადებას 3 მარტს დაასრულებენ და იქიდან პირდაპირ ოდესაში გაემგზავრებიან „ჩერნომორეცთან“ ტურის მატჩისთვის.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# მენთეშაშვილი უკრაინაში მიდის

**ზურაბ** მენთეშაშვილი ისევ რიგაში ვარჯიშობს და ფორმას ინარჩუნებს. დღესდღეობით საქართველოს ნაკრების 27 წლის ნახევარმცველი უგუნდოდაა, თუმცა როგორც შევიტყვეთ, თითქმის გადაწყვეტილია, რომ დღე-დღეზე ერთ-ერთ უკრაინულ კლუბში გადავა.

იაროსლავლის „შინიკიდან“ წამოსვლის შემდეგ მენთეშაშვილის რუსთავის „ოლიმპში“ ჩარიცხვაზეც ლაპარაკობდნენ, თუმც ფეხბურთელს უცხოეთზე უჭირავს თვალი. იყო კრასნოდარის „კუბანის“ ვარიანტიც, მაგრამ ეტყობა, აქედან არაფერი გამოვიდა.

ზურაბი დღეს ჩავა უკრაინაში და სავარაუდოდ, კონტრაქტსაც მალე გააფორმებს.

**ილია ნანობაშვილი**



# კრილიას უფრო დიდი ფრთები ექნება

## მუჯირი პრემიერლიგას თერთმეტეულში დაიწყებს

გუშინ მოსკოვში რუსეთის თასის საპასუხო მერვედფინალურ მატჩში სამარის „კრილია სოვეტოვმა" 2:0 მოუგო ცსკა-ს და პრემიერლიგის ჩემპიონი თასიდან დაიფრინა, თანაც ისე, რომ სამარელებმა ორივე მატჩი მოსკოვში გამართეს. კრილიას შემტევი ნახევარმცველი დავით მუჯირი პირველი მატჩის მსგავსად ახლაც შეცვლაზე შევიდა და მოედანზე მხოლოდ ხუთი წუთი დაჰყო. „კრილია"-ში ახალი მწვრთნელის; სერგეი ობორინის მისვლის შემდეგ მუჯირი ძირითადად შეცვლაზე თამაშობს. ამ ამბავმა დაგვაინტერესა და მუჯირს თამაშის შემდეგ შევეხმიანეთ...

— ტრავმის გამო ბევრი დრო გამიცდა, პრობლემები რუსეთის ვიზის გამოც შემექმნა და გუნდის ორი შეკრებიდან თითქმის ნახევარი გამოვტოვე. ამიტომ გადაწყვიტა მწვრთნელმა, რომ შეცვლაზე შევსულიყავი. ჯერ აპირებდა, მეტი მეთამაშა, მაგრამ მატჩი ისე წარიმართა, რომ შეცვლის საბაბი არ ჰქონდა და ჩემი შეყვანით მცირე ტაქტიკური ჩანაფიქრი განახორციელა.

— ჩემპიონატშიც ჯერ შეცვლებზე მოგიწევს თამაში?

— ჩემპიონატის დაწყებამდე დაახლოებით ორი კვირაა დარჩენილი და შეკრებაზე გაცდენილი დროს ავანაზღაურებ. მე და ობორინს გვქონდა ამ თემაზე საუბარი და პრემიერლიგის პირველივე მატჩში ძირითადში ვიქნები.

— თასიდან შარშანდელი ჩემპიონი გამოაგდეთ, ალბათ წელს ამბიციები მოგემატათ...

— წელს შარშანდელზე გაცილებით უკეთესი გუნდი გვყავს. ძირითადი ბირთვი უფრო შეთამაშებულია. ამ სეზონში გაცილებით მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.

— კერძოდ?

— ჩემპიონატის ცხრილის ზედა ნაწილში უნდა დავმკვიდრდეთ. სასურველია, თუ უეფას თასის საგზურს მოვიპოვებთ, რაც ალბათ მაქსიმუმი იქნება.

— ეს თასის მოპოვებითაც შეგიძლიათ...

— რა თქმა უნდა, ამ ფრონტზეც ვიბრძოლებთ. ცსკა-სთან მოგებამ გზა გაგვიიოლა, მაგრამ წინ კიდევ სამი მეტოქეა და ფეხის დაცდენის უფლება აღარ გვაქვს. ჩემპიონატში კი ერთი შეცდომის გამოსწორება ძალიან ძნელი არ არის. უეფაზე მოხვედრის მეტი შანსი ალბათ მაინც უფრო თასიდან გვაქვს. მოკლედ, სიტუაციიდან გამომდინარე ვიმოქმედებთ.

— ნაკრებზეც ვთქვათ. თურქეთთან მოგებამ ოპტიმიზმი არ შეგმატათ?

— იმის მიუხედავად, რომ თამაში ამხანაგური იყო, ისეთი ნაკრების დამარცხება, როგორიც თურქეთია, სასიამოვნოა, თანაც შესუსტებული შემადგენლობით. მანამდე არანაკლებ ძლიერი ურუგვაის ნაკრებიც დავამარცხეთ და ამ თამაშებმა ოპტიმიზმის საბაბი მართლა მოგვცა. იმედია, გუნდის ამ წარმატებულ სვლას შოტლანდიაშიც გავაგრძელებთ.

— ნაკრების სამწვრთნელო შტაბიდან არ გეხმიანებიან?

— საშოტლანდიოდ არა, ჯერ საამისოდ ადრეა, ისე კი კონტაქტი გვაქვს და ხშირად ვსაუბრობთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ეული ოდესელი ქართველი მჟავანაძე-შაშიაშვილზე ვერაფერს ამბობს

გიორგი შაშიაშვილი თბილისის „დინამოშია", კახა მჟავანაძე კი უგუნდოდაა — ოდესის „ჩერნომორეცს" ქართველებიდან მხოლოდ ილია კანდელაკი შემორჩა. 25 წლის მცველი ოდესელთა ძირითადში თითქმის სულ ხვდებოდა და ეროვნულ ნაკრებშიც თითქმის მუდმივად იძახებდნენ, თუმც თურქეთთან ამხანაგურ მატჩში ასე არ მოხდა...



— არ ვიცი, თურქეთთან რატომ არ გამომიძახეს. ჩემგან პრობლემა არ ყოფილა, ტრავმა არ მქონია. მწვრთნელმა ასე ჩათვალა საჭიროდ და რა გითხრათ...

— კლაუს ტოპმიოლერს არ უთქვამს, შოტლანდიისთვის მოემზადეო?

— არა, მაგრამ იმედი მაქვს, გლაზგოს თამაშისთვის ნაკრებში ვიქნები.

— კახა მჟავანაძე ერთ-ერთ უკრაინულ კლუბში აპირებდა გადასვლას — ამჟამად სად არის?

— მჟავანაძე ოდესაშია, თუმც „ჩერნომორეცში" არ ვარჯიშობს. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი მისი ამბები.

— რატომ აიცრუა მწვრთნელმა სიმიონ ალტმანმა მჟავანაძეზე და შაშიაშვილზე გული?

— ვერ გეტყვით. ბოლომდე ჩახედული არ ვარ ამ საკითხში.

— ალტმანს ქართველებზე თუ აქვს გართულება, მაშინ შენც უნდა მოყოლილიყავი „შავ სიაში"...

— ამიტომაც ვერაფერს ვამბობ. ფაქტია, ქართველებიდან მხოლოდ მე დავრჩი „ჩერნომორეცში".

— „ჩერნომორეცის" თურქულ შეკრებაზე როგორ შეატყვე, ძირითადში რეგულარულად იქნები?

— წესით, ძირითადში მოხვედრა არ უნდა გამიჭირდეს.

— „ჩერნომორეცს" შარშანდელის გამეორება, ანუ მესამე ადგილზე გასვლა ალბათ ძალიან გაუჭირდება...

— უეფას თასზე თუ არა, ინტერტოტოზე მაინც უნდა გავიდეთ — ასეთია „ჩერნომორეცის" მიზანი. ახალი ფეხბურთელები მოიყვანეს და ვნახოთ, რა ძალა ვიქნებით.

**ილია ნანობაშვილი**

# ლევან ჯღარკავა — ვენტსპილსის ათიანი

**ლატვიის** ჩემპიონმა „ვენტსპილსმა" ერთი თვის წინ მოსკოვში „თანამეგობრობის თასზე" ქართველი ფეხბურთელიც იახლა — 1988 წელს დაბადებული ლევან ჯღარკავა. ეს ბიჭი საქართველოს ჩემპიონატიდან ვერ გვეხსომებოდა, რადგან 16 წლისა წასულა მოსკოვში და ჯერ „მოსკვას" დუბლებში, მერე კი რუსეთის ერთ-ერთ პირველდივიზიონელ გუნდში უთამაშია. შარშანდელი სეზონიც სწორედ იქ გაუტარებია და ერთ-ერთ სკანდინავიურ ტურნირზე საუკეთესო ნახევარმცველადაც ულიარებიათ.

მოსკოვამდე ჯღარკავა ჯერ ვახტანგ კოპალეიშვილთან ვარჯიშობდა „ნორჩ დინამოელში", მერე კი სოსო ჭედიასთან იყო ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „არეალში".

ჯღარკავა „თანამეგობრობის თასის" დაწყებამდე ორიოდ დღით აიყვანა „ვენტსპილსმა" და 10-ნომრიანი მაისურაც უბოძა. მოსკოვურ ტურნირში ლევანმა 12 წუთი ითამაშა ცსკა-სთან.

„ვენტსპილსი" ამჟამად ანთალიურ შეკრებაზეა და ჯღარკავას იქ დავუკავშირდით.

„ანთალიაში სამი ტესტ-მატჩი ვითამაშე, აქედან ორჯერ ძირითადში ვიყავი, ერთხელ კი მეორე ტაიმში შემიყვანეს შეცვლაზე. ამპლუით მარცხენა ნახევარმცველი ვარ. ძალიან კარგად მიმიღეს გუნდში. მიუხედავად იმისა, რომ „ვენტსპილსში" ნაკრების ფეხბურთელები თამაშობენ და სხვებიც საკმაოდ გამოცდილები არიან, თავს შინაურულად ვგრძნობ. არაა გამორიცხული, მწვრთნელმა ოფიციალურ მატჩებშიც ძირითადში მათამაშოს."



ჯღარკავას თქმით, იგი დაახლოებით ერთი კვირა იყო „ვენტსპილსში" გასინჯვაზე, რის შემდეგაც ექვსთვიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

თითქმის ათი დღეა, „ვენტსპილსში" დავით იმედაშვილი ვარჯიშობს. სავარაუდოდ, კიევის „დინამო" მას ექვსი თვით გაანათხოვრებს ამ გუნდში. „ვენტსპილსში" ისინჯება თავდამსხმელი გიორგი ზოიძეც, ვინც ერთი თვის წინ ნალჩიკის „სპარტაკში" ცდილობდა გადასვლას.

რაც შეეხება თბილისის „დინამოს" მცველ დავით გიგაურს, იგი უკვე წამოვიდა „ვენტსპილსიდან".

**ილია ნანობაშვილი**

# ლონდომი კარდიფში






## ბატკნის ტყავში გახვეული მგლები ქართულ ქორწილში

**ჩხუბით** და გინებით დასრულდა ლიგის თასის ისტორიაში პირველი ლონდონური ფინალი. ისეთი ჩხუბით, რომელშიც ჟოზე მაურინიუ და არსენ ვენგერი გამშველებლები იყვნენ.

მართალია, მუშტით თავდასიებული ან ცხვირგატეხილი არავინ გაუყვანიათ მოედნიდან, მაგრამ აქამდე ცოტალა დააკლდათ.

სამი წითელი და შვიდი ყვითელი ბარათი იშიშვლა მსაჯმა ჰოვარდ ვებმა და თან, როგორც ინგლისელმა ჟურნალისტმა იხუმრა, მოედანზე არ იყო ეშლი კოული — ცნობილი „გამრტყმელი“, ვინც შარშან გადავიდა „არსენალიდან“ „ჩელსიში“.

...17 წლის თეო უოლკოტმა ანგარიში გახსნა — პირველი არსენალური გოლი გაიტანა, დიდიე დროგბამ კი ორით უპასუხა და სწორედ დროგბას მეორე გოლიდან (86-ე წუთზე) ორ-სამ წუთში ატყდა გაწევ-გამოწევა და ვაი-უშველებელი.

კოლო ტურე და ჯონ ობი მიკელი „ჩელსის“ ნახევარზე ბრძოლაში წაიქცნენ. ტურე წამოფრინდა და მეტოქეს უღრიალა. ნიგერიელმაც ღრიალითვე უპასუხა. ჰოვარდ ვები იქვე გაჩნდა და შუაში ჩაუდგა. ამ დროს მოცვივდნენ ფრენკ ლამპარდი და ფრანსესკ ფაბრეგასი. ესპანელს რაღაცამ მოუარა და, ჩელსელს ჯერ საყელოში სწვდა, თავისკენ მოქაჩა და კისერზე ისე მოხვია ხელი, თითქოს დახრჩობას უპირებსო. ლამპარდს, ცხადია, პატარა ბიჭისგან ეწყინა და დაიწყო ჭიდაობა. მერე უკვე ვები კი არა, სკოტლენდ იარდიც ვერ გაარჩევდა, რა ხდებოდა. ორ-ორ კაციანი რამდენიმე ფრონტი გაიხსნა, ისე, ჩვენთან ქორწილებში რომ ჩხუბობენ და უცბად რომ დაწყვილდებიან — ვინ ვის რას უხსნის, თვითონაც არ იცის...

აყალმაყალი არ დაცხრა და საქმეში მწვრთნელები ჩაერივნენ. პირველი ჟოზე მაურინიუ შევარდა მოედანზე და მას არსენ ვენგერიც მიჰყვა. მერე კი იკადრეს ბიჭებმა დაშოშმინება.

ბრძოლის ველზე ხალხი რომ დაიფანტა, გაირკვა — მსაჯმა კოლო ტურე, ჯონ ობი მიკელი და... ემანუელ ადებაიორი გააძევა.

ტურე და მიკელი გასაგებია, ჩხუბი მათ ატეხეს, მაგრამ ადებაიორი რატომ? ტოგოელი ფორვარდი სწორედ ამის გასარკვევად იქაჩებოდა მსაჯისკენ და იგი „არსენალის“ ექიმმა გარი ლევინმა გამოათრია.

„ვებმა მითხრა, რომ ვიღაცას ხელი ვკარი და ამიტომ გამაგდო, არადა, სრულიად უდანაშაულო ვარ. მგონი, ვიღაცაში შევეშალე“ — დაიჩივლა ფორვარდმა.

შეცდომა გამორიცხული არაა, რადგან „არსენალში“ ხომ ბევრი „ადებაიორი“ თამაშობს და, რა გასაკვირია, თავგზააბნეულ მსაჯს მისამართი თუ შეეშალა.

ჯონ ობი მიკელი: „წითელ ბარათს არ ვიმსახურებდი. ჩხუბი ტურემ დაიწყო, მე კი გამაგდეს. ვებმა მათ სასარგებლოდ ჯარიმა დანიშნა და რაღა უნდოდა ტურეს?! მისთვის ხელი არ დამირტყამს და არც მას დაურტყამს ჩემთვის... მხოლოდ სიტყვები გავცვალეთ...“

გამშველებელი ჟოზე მაურინიუ: „ფეხბურთელებს ვერ დავხოცავთ იმის გამო, რომ ნერვები ვერ მოთოკეს. თუკი მათ დააშავეს, სათანადოდ დაჯარიმებას და დისკვალიფიკაციას იმსახურებენ, მაგრამ ეს ჩემი და ვენგერის საქმე არაა, სადისციპლინო კომიტეტი თვითონ გაარკვევს მტყუან-მართალს. ჩვენ, მწვრთნელებმა კი, ფეხბურთელები უნდა ალვზარდოთ. მოედანზე იმიტომ შევვარდი, რომ შემეშინდა, მსაჯი ხომ ამდენ მოჩხუბარს ვერ დააწყნარებდა. მე ჩემი ბიჭები დავაშოშმინე, ვენგერმა — თავისი. ასეც უნდა მოვქცეულიყავით. ფაქტია, მიკელი, ტურე და ადებაიორი გააგდეს. ჩემებმა მითხრეს, რომ ემანუელ ებუე გვარიანად იქნევდა ხელებს და დაუსჯელი დარჩა. კარგი თამაში გამოვიდა და სამწუხაროა, ასე რომ დასრულდა. მომხდარი უნდა დავივიწყოთ და ვიფიქროთ იმაზე, რაც ფეხბურთს ალამაზებს.“

არსენ ვენგერი: „მატჩამდე ბატკნებს უფრო ვგავდით, ვიდრე მგლებს და არ მეგონა, რომ საქმე ჩხუბამდე მივიდოდა. მეტი თავდაჭერილობა მართებს ჩემს ფეხბურთელებს. ამ ჩხუბით მათ ანგარიშის გათანაბრების შანსი მოისპეს. ეს ენერგია სათამაშოდ რომ გამოეყენებინათ, ეგებ არც წაგვეგო.“

5 მაისს პრემიერლიგაში თვალსასეირო მატჩი იქნება — „არსენალი“ „ჩელსის“ მასპინძლობს.

მანამდე, ალბათ, დაწყნარდებიან...

**ვაჟა ხუციშვილი**

## ჯონ ტერი: მახსოვს, არაფერი მახსოვდა...




**ტრავმა** გაუშინაურდა ჯონ ტერის — „არსენალთან“ მატჩის 56-ე წუთზე აბუ დიაბის ბუცი ისე მძლავრად მოხვდა სახეში, რომ გონდაკარგული მოწყვეტით დაეცა და ჰოსპიტალში გააქანეს.

„ჩელსის“ კაპიტანი ჯერ კიდევ შარშან დაშავდა და ორ თვეზე მეტი გაუცდა. იანვარში დაბრუნდა და გუნდის დაცვასაც „დაატყო ფეხი“. მაგრამ წინა ოთხშაბათს „პორტუსთან“ თამაშის დასაწყისშივე მიიღო ტრავმა და შესაცვლელი გახდა. ვარაუდობდნენ, რომ „არსენალთან“ ლიგის თასის ფინალში დააკლდებოდა „ჩელსის“, თუმც გამოკეთება მოასწრო და ითამაშა, მაგრამ კვლავ არ გაუმართლა... მოსასულიერებლად ჟანგბადის ბალიშებიც კი დასჭირდა.

კარდიფის ჰოსპიტალში გონზე მოსული ტერი თურმე ველარ იხსენებდა, რა დაემართა, მოგვიანებით კი აღუდგა მეხსიერება.

კაპიტანი ნამატჩევს სტადიონზე დაბრუნდა და გასახდელში თანაგუნდელებთან ერთად იზეიმა თასის მოგება.

**ვაჟა ხუციშვილი**



## მხსნი? ჰოდა, მომხსენი!

**რომან აბრამოვიჩმა** უთქმელად მიანიშნა, რომ ჟოზე მაურინიუს გაშვებას აპირებს. მან ღიმილით უპასუხა „ჩელსის“ ქომაგის კითხვას — დარჩება თუ არა პორტუგალიელი „ჩელსიში“?

როგორც „ნიუს ოფ ზე ვორლდი“ წერს, რუსის სიჩუმე მაურინიუს წასვლას ნიშნავს. აბრამოვიჩმა მწვრთნელზე გული აიყარა.

ჟურნალისვე ცნობით, კლუბის პატრონს სამი საათი უსაუბრია „ჩელსის“ გულშემატკივრებთან და ერთხელაც არ უთქვამს, რომ მაურინიუს დატოვებს. არადა, პორტუგალიელი ამას წინათ ამტკიცებდა, ვრჩებიო.

ჩელსელი ფეხბურთელები, ჯონ ტერის თამადობით, აბრამოვიჩთან შესვლას აპირებენ მაურინიუს დატოვების თხოვნით, მაგრამ საეჭვოა, რომ რუსმა მათ დაკრულზე იცეკვოს. პატრონს და მწვრთნელს უკვე სამ თვეზე მეტია, ურთიერთობა წაუხდათ და შუამავლის ენით ესაუბრებიან ერთმანეთს.

„მწვრთნელის წასვლის სამი ვარიანტი არსებობს — განაცხადა ჟოზე მაურინიუმ — მას ან კონტრაქტი დაუმთავრდება, ან თვითონ წავა, ან მოხსნიან. ჩემი ინიციატივით აბარგებას არ ვაპირებ. კონტრაქტის დასრულებამდე (2010) დარჩენა მსურს და თუ არ ვუნდივარ, მომხსნან“.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა










# თხლაშ!

## ბრაზილიელმა რემბომ გერმანელს გერმანული ენა დაუწუნა და... ლინკოლნმა შნაიდერს გადაუარა

„ლევერკუზენთან“ მატჩი „შალკემ“ შინ 0:1 დათმო, მაგრამ უფრო საშინელი მასპინძლებისთვის ის იყო, რაც სასტვენის შემდეგ მოხდა: გელზენკირხენელთა ბრაზილიელმა გამთამაშებელმა ლინკოლნმა სტუმარ ბერნდ შნაიდერს სახეში ჩაარტყა ხელი!

ამ ამბავს გერმანიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა და, ცხადია, ბერნდ შნაიდერის კომენტარიც გაჩნდა: „მე იგი ბოლოსლა დავინახე, თორემ მანამდე რომ შემემჩნია, კლასიკური „ბრძოლა წესების გარეშე“ ატყდებოდა“.

აქვე საპასუხო რეაქციაც — „შალკეს“ მენეჯერი ანდრეას მიულერი: „სისულელეა! ლინკოლნის ხელს შნაიდერის სახესთან არაფერი ესაქმება“.

იმავეს ფიქრობს „ხუმარათა“ მთავარი მწვრთნელი მირკო სლომკაც: „ვფიქრობ, რომ ეს პროვოკაცია იყო“.

გერმანული პრესის ცნობით, შნაიდერმა თამაშისას ლინკოლნი ამ სიტყვებით გამოიწვია: „...და შენ გინდა, ბრაზილიელი იყო?!“ (...und du willst Brasilianer sein?!)

ლინკოლნის ცუდი გერმანულის ბრალია თუ სხვა რამის, ვერ გეტყვით, ფაქტი ისაა, რომ ლინკოლნს ამის ნაცვლად „Scheiss-Brasilianer“ გაუგონია და...

„ბილდი“: ყველაფერი უაზროდ წარიმართა რემბო ლინკოლნისთვის, ის ძველ ნამოქმედარს იმეორებს. გაგახსენებთ, რომ 2005 წელს „შტუტგარტის“ ფეხბურთელის შეფურთხებისთვის ოთხი თამაში გამოტოვა. ახლა კი გაცილებით დიდი დისკვალიფიკაცია ელის.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, „შალკეს“ მეტოქეთა წისქვილებს ამარაგებს წყლით. 13 წაუგებელი თამაშის შემდეგ ჩავარდნისმაგვარი იწყება — „ლურჯებმა“ შინ პირველად წააგეს ამ სეზონში.

ჩემპიონატი კი კიდევ უფრო საინტერესო გახდა — „შტუტგარტი“ მხოლოდ ოთხი ქულით ჩამორჩება ლიდერს...

და ერთიც: სასტვენის შემდეგ ყოველთვის არ მთავრდება ყველაფერი — ლინკოლნის „ვაჟკაცობა“ „ვაჟკაცობად“ და, აყალმაყალი ამის შემდეგაც იყო...

კამერების სიახლოვეს მდგომ, უკვე „მობეგვილ“ შნაიდერს შალკელი ზლატან ბაარამოვიჩი აეკიდა და მოკეტვა ურჩია, თუმცა ლევერკუზენელი იქვე დაემუქრა, დაწყნარდი, თორემ ყველაფერს ვიტყვი, რასაც მოედანზე გვეძახდითო.

მოკლედ, „შალკეს“ ნერვები დაეჭიმა — შესაძლებელია, ლინკოლნის საქციელი მათ ჩემპიონობის დაკარგვადაც კი დაუჯდეთ.

**ნინო სილაგაძე**





# მიმზიდველი სკანდალი

## კრისტიან ლელის დატვირთული შაბათობა: თამაში, მოლხენა, ჩხუბი, დაჭერა და... სიყვარული

**შაბათს** მიუნხენის „ბაიერნის“ მცველმა, 22 წლის კრისტიან ლელმა „ვოლფსბურგის“ წინააღმდეგ სრულად ითამაშა, მისმა გუნდმა კი 2:1 მოიგო...

იმ ღამით ლელი ახალგახსნილ ახალგაზრდულ კლუბ „BABY“-ს ესტუმრა და... სწორედ იქ გაეხვა შარში.

კლუბიდან გამოსული ფეხბურთელი თავის მეგობარ გოგონას, სარას კარგა ხანი უხსნიდა რაღაცას, რასაც გაწევ-გამოწევა და ჩხუბი მოჰყვა. ვითარება მას შემდეგ ჩაცხრა, რაც კლუბთან მავანი თვითმხილველის მიერ გამოძახებული პოლიცია და სასწრაფო დახმარება მივიდნენ.

მიუნხენის პოლიციის პრესსამსახურის უფროსმა პეტერ რახელმა ეს ამბავი დაადასტურა: „ეს მართალია, დისკოდან გამოსული კრისტიან ლელი თავის მეგობარს ეჩხუბა — მან ის სცემა. ერთ-ერთმა თვითმხილველმა პოლიცია გამოიძახა. ლელი დაკავებულია და რადგანაც ნასვამი ჩანდა, სისხლის ანალიზისთვის წავიყვანეთ“.

მოგვიანებით ფეხბურთელი შინ გაუშვეს — ბუნდესლიგის ყველაზე სიმპათიურ მოთამაშედ აღიარებულ ლელს სარამ არ უჩივლა, შერიგდნენ და კვლავაც ერთად არიან.

პოპულარულმა „ბილდმა“ კი კრისტიანს კომენტარი სთხოვა, თუმცა ესღა მიიღო: „ამაზე საუბარი არ მსურს.“

მეორე დღეს ლელმა „ბაიერნის“ თავკაც ოტმარ ჰიცფელდს ყველაფერი უამბო.

„ბაიერნის“ პრესმდივანი მარკუს ჰიორვიკი: „მწვრთნელმა საჭირო ზომები მიიღო და ეს თემა ამით დაიხურა.“

ჩვენ კი განვმარტოთ, რომ „საჭირო ზომებში“ საკმაო ფულადი ჯარიმა იგულისხმება...

**ნინო სილაგაძე**

# ძმამ ძმისთვის ჯანდაბა გაიმეტა

ოლივერ კანის უფროსმა ძმამ, აქსელმა მიუნხენის „ბაიერნის“ ვარსკვლავები გათათხა!



— „ბაიერნის“ თავდასხმა მსოფლიო ვარსკვლავებით სავსე საქათმეს ჰგავს.

— ლუსიო უკვე რამდენიმე კვირაა, ფორმაში ვერ არის. მისი უსუსური თამაში უკვე მუდმივად პრობლემატური ხდება.

— სჯობს, დანიელ ვან ბუიტენი ფეხბურთიდან მძლეოსნობაში გადავიდეს.

— მარტინ დემიკელისს სტაბილურობა ენატრება.

— მარკ ვან ბომელი არ არის ტექნიკური და არც ნამდვილი 10 ნომერია, მაგრამ მუშაა, თან პროვოკატორიც. სამწუხარო ისაა, რომ მას გუნდში ძალიან იშვიათად თუ უგდებენ ყურს.

— ვილი სანიოლი დიდი ხანია, უკვე ისეთი საშიში აღარაა, როგორიც თუნდაც შარშან იყო. ვეღარც ახალგაზრდა ფილიპ ლამის თამაშია მაინცდამაინც მნიშვნელოვანი მოცულობის.

— ბასტიან შვაინშტაიგერი მსოფლიოს ჩემპიონატის დროინდელ ფორმას ეძებს. როკე სანტა კრუზი კი ცარიელ კარშიც ვერ ახერხებს გოლის შეგდებას.



### ...და როგორ პასუხობს საიდანღაც გამომტყვრალ ექსტრავაგანტურ აქსელს ამ დარტყმაზე ოლივერ კანი?

— აზრზე არა ვარ, რა უნდოდა. ჩვენ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ, მოაზროვნეები ვართ — ეს კი მისი ექსკლუზივია. თანაც დიდი ხანია, მასთან არ მისაუბრია. მე აბსოლუტურად სხვა აზრისა ვარ ჩემი ძმის სიტყვებისგან განსხვავებით.

— **და რას საქმიანობს თქვენი ძმა?**

— 1986-87 წლებში „კარლსრუეში“ იყო, თუმცა მას შემდეგ სხვა გზას დაადგა. ადრე 68 ადამიანის ვალი ჰქონდა — მილიონი მარკა. 2000 წლიდან კი მამის ფირმაში პატარ-პატარა საქმეებითაა დაკავებული.

# ოსკარი ეტოოს!



**4 თებერვალს** „ოსასუნასთან“ ნათამაშებ ექვს წუთს თუ არ ჩავთვლით, სამუელ ეტოოს ტრავმის გამო სექტემბრის მერე არ ეთამაშა.

ისიც მოგეხსენებათ, რომ ბოლო დროს მას ურთიერთობა დაეძაბა კატალონიელთა მთავარ მწვრთნელ ფრანკ რაიკარდთან და ერთ-ერთ ლიდერ რონალდინიოსთან. თუმცა, როგორც ჩანს, უთანხმოება მართლაც უკან დარჩა და ყველაფერი რიგზეა.

კვირას „ბარსელონამ“ შინ 3:0 მოუგო „ბილბაოს“. ეტოომ კი მოედანზე 66 წუთი დაყო და ბრწყინვალედ ითამაშა. კამერუნელმა ჯერ ბასკთა მცველი ფერნანდო ამორებიეტა აიძულა, შეცდომა დაეშვა — მან ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. მერე ხავის გაატანინა, ხოლო 41-ე წუთზე თავისი ნანატრი გოლიც შეაგდო.

„ძალიან მიხარია, რომ დავბრუნდი და გოლიც გავიტანე. ეს ნამდვილად მჭირდებოდა. ზოგჯერ ბოლომდე იხარჯები, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ აღწევ. თუმცა დღეს ყველაფერი გამოგვივიდა და იმედია, ასე გავაგრძელებთ“ — თქვა 25 წლის კამერუნელმა თავდამსხმელმა.

ესპანური „მარკა“ კამერუნელის თამაშს ასე გამოეხმაურა: „ეტოო დაბრუნდა და ლიგა შეიცვალა“; „ელ მუნდო დეპორტივომ“ მას ღვთაებრივი უწოდა, ხოლო „სპორტმა“ ეტოო ოსკარების ცერემონიალთან დააკავშირა, რომელიც „ბარსელონას“ მატჩის დამთავრებიდან რამდენიმე საათში გაიმართა — „ოსკარი ეტოოს“.

„ეტოოს დაბრუნება ჩვენთვის ძალიან კარგი ამბავია. იგი ჩვენს თამაშს უფრო მრავალფეროვანს ხდის და გუნდისთვის დიდი ძალაა. მისი წარმატება მახარებს“ — თქვა რაიკარდმა.

**გიორგი ქაქაბაძე**

## ლოკო ცარიელი დაბრუნდა

**მოსკოვის** „ლოკომოტივი“ პსვ-მ და „ფეიენოორდმა“ უარით გაისტუმრეს. მოსკოვურ კლუბს ეინდჰოვენელი ჯეფერსონ ფარფანის და როტერდამელი ჯონათან დე გუზმანის შეძენა სურდა. ფარფანის გაყიდვა პსვ-მ სასტიკად იუარა, მიუხედავად იმისა, რომ 7 მილიონ ევროს სთავაზობდნენ. დე გუზმანი კი რუსეთში თამაშის პერსპექტივამ ვერ მოხიბლა, თან შეთავაზებული ჯამაგირიც არ მოეწონა.

## მოსწავლე და მასწავლებელი

**მიუნხენის** „ბაიერნის“ მწვრთნელად, შესაძლოა, მათიას ზამერი დანიშნონ. სეზონს ოტმარ ჰიცფელდი ჩაამთავრებს, რომელსაც შემდეგ კლუბის სპორტულ დირექტორად გადაიყვანენ — წერს მიუნხენური „ალგემაინე ცაიტუნგი“.

39 წლის მათიას ზამერი ამჟამად გერმანიის ნაკრებში მუშაობს.

მწვრთნელობის კიდევ ერთი კანდიდატია ლოთარ მათეუსი, რომელიც ამჟამად ავსტრიულ „ზალცბურგში“ ჯოვანი ტრაპატონის თანაშემწეა.

## დოლის ხმა ისმის

**„შპორტალის“** ინფორმაციით, „აინტრახტის“ მწვრთნელ ფრიდჰელმ ფუნკელს თუ მოხსნიან (ამის დიდი შანსი არსებობს) მის ნაცვლად თომას დოლს დანიშნავენ. დოლი, თავის მხრივ, „ჰამბურგიდან“ სამი კვირის წინ გაათავისუფლეს.

„აინტრახტს“ მეორე წრეში თამაში არ მოუგია და მეორე ბუნდესლიგისკენ მიექანება, რის გამოც ფუნკელს წყალი შეუდგა.

თომას დოლმა 90-იანი წლების შუაში ორი სეზონი ითამაშა „აინტრახტში“.

## ღიპინიო სარკეში

**ერთი** კვირის წინ „ვალენსიასთან“ მარცხის შემდეგ ბარსელონელ რონალდინიოზე ესპანური გაზეთები წერდნენ, რონალდოსავით გასუქდა, ღიპი დაიდო და ამიტომ ველარ თამაშობსო. საპირისპიროს დამტკიცების მიზნით, გუშინწინ რონალდინიომ ღიპი „კამპ ნოუზე“ საჯარო განხილვისთვის გამოფინა, როცა „ბილბაოსთან“ მოგების მერე მტოქე იესტეს მაისურა გაუცვალა და ტრუსიც კი ოდნავ ჩაიწია, დახეთ, სულაც არ გავსუქებულვარო.

„ჩემზე ამბობენ, ბევრს ჭამს და გასუქდაო. მაგრამ ამას სულაც არ ვაქცევ ყურადღებას. სარკეში ვიყურები და ვხედავ, რომ ღიპი არ მაქვს“ — თქვა ბრაზილიელმა.

## როდის წავა გაიძვერა?

**თვით** ესპანეთის მეფე ხუან კარლოსიც კი დაინტერესებულა ფაბიო კაპელოს წასვლა-დარჩენის საკითხით. „ელ მუნდოს“ ცნობით, ხუან კარლოსს „რეალის“ ვიცე-პრეზიდენტისთვის უკითხავს: „როდის წავა ეგ გაიძვერა კაპელო?“ მეფეს ცოტა უფრო უხეშად უკითხავსო, ამტკიცებს გაზეთი, მაგრამ რეალელებს შეურბილებიათ მისი ნათქვამი, ამ თემაზე ნულარ ვილაპარაკებთ, კაპელო რჩებაო.

**ვაჟა ხუციშვილი**





# სიყვარულმა ტარიელი კი არა, დანიელიც გადარია

**რუსეთის** ჩემპიონატი შემოდგომაზე კი დასრულდა, მაგრამ გამარჯვებული ცსკა-ს დაჯილდოვება იქაური ფეხბურთის უფროსობამ ამ შაბათს ითავა.

ცერემონიალი, რაკილა ჩემპიონი არმიული კლუბი გახდა, რუსეთის არმიის თეატრში გაიმართა და მომწყობებმა ძალიან მოინდომეს, ორიგინალური გამოსულიყო. ფეხბურთელები სცენაზე დიდი მოტოციკლეტებით გამოვიდნენ, კლუბის პრეზიდენტი ევგენი გინერი და მთავარი მწვრთნელი ვალერი გაზაევი კი, რეტრო-ავტომობილით შეგრიალდნენ...

მთავარი, რა თქმა უნდა, მედლების ჩამორიგება იყო. ოქრო ვაგნერ ლავის გარდა, ყველამ ჩამოიკიდა კისერზე, ვაგნერი კი ამ დროს ბრაზილიაში ბრძანდებოდა და მედალს მერე აახლებენ.

უფრო თვალსაჩინო კი პოპ-არტისტთა მისალმება-სიმღერები იყო, რომელთა შორის ცსკა-ს კაპიტან ევგენი ალდონინის ცოლი, მსახიობი იულია ნაჩალოვაც გახლდათ. ამ ფოტოებზე კი ხედავთ, როგორ ესიყვარულება პოპულარული ჟანა ფრისკე დანიელ კარვალიუს...

მათ ურთიერთობაზე ორიოდ სიტყვა კიდევ ვთქვათ...

ნუ იტყვით და, კარვალიუ ფრისკეს ისე დაუბნევია, რომ სცენიდან ჩამოსულ ფეხბურთელს მომღერალთან მისვლა ველარ გაუბედავს, არადა, ძალიან სდომებია და თანაგუნდელები აუკლია, როგორმე მაგ გოგოს ტელეფონი გამიგეთო.

გაუგეს თუ არა, წყაროები აღარ იუწყებიან — ალბათ, გაუგეს.

საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, რომ არც ფრისკე უნდა იყოს კარვალიუსთან განმარტოებულ ურთიერთობაზე უარს. სცენაზე ალერსი ამის ერთი საბუთია, მეორე კი ის არის, რომ თავად ფრისკემ გამოარჩია კარვალიუ სხვა ფეხბურთელებს შორის სცენაზე ასაყვანად.

**კოტე ქექელია**

# პოსტსაბჭოეთის სუპერტრანსფერი



**სანკტ პეტერბურგის** „ზენიტი“ ყველაფერზე შეუთანხმდა დონეცკის „შახტარის“ კაპიტან ანატოლი ტიმოშჩუკს და დღე-დღეზე პოსტსაბჭოთა სივრცეში უძვირესი ტრანსფერი ოფიციალურად გაფორმდება — რუსები უკრაინელებს 20 მილიონ დოლარს გადაუხდიან.

ამ თანხის 5 პროცენტს თავად ტიმოშჩუკი მიიღებს, რომლის ხელფასიც თვეში 200 ათასი დოლარი იქნება.

რუსულ-უკრაინული წყაროების ცნობით, კონტრაქტის გაფორმება საათების ამბავია...

**კახა შალამბერიძე**

# ვინ მოირგებს ოქროს ბუცებს?

**„ოქროს ბუცისთვის“** მებრძოლთა სადღეისო მდგომარეობა ისეთია, როგორსაც ცხრილში ხედავთ. ლიდერი ფრედერიკ კანუტია, „სევილიას“ მალელი ფორვარდი, რომელმაც ამ უქმეებზე ვერაფრით გამოიჩინა თავი, ისევე, როგორც მისმა გუნდმა.

მეორეზე კი ისევ დიდიე დროგბაა. „ოქროს ბუცზე“ სათასო გოლებიც რომ ითვლებოდეს, იცოცხლეთ, კოტდივუარელი პირველზე იქნებოდა, მაგრამ ინგლისის ლიგის თასის ფინალში გატანილმა ორმა გოლმა კანუტთან დევნაში დროგბას ვერაფერი შესძინა...

...და რომ არა კოეფიციენტები, რომელიც ყველა ჩემპიონატს სირთულის მიხედვით ენიჭება და რომელზეც გოლების რაოდენობა მრავლდება, საუკეთესო შედეგი ნარველ მაქსიმ გრუზნოვს ექნებოდა, ვინც ესტონეთის აწ გასრულებულ ჩემპიონატში 32 გოლი შეაგდო, თუმც ესტონური გოლები „ოქროს ბუცისთვის“ იაფად ფასობს.

**კოტე ქექელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფრედერიკ კანუტი | სევილია | ესპანეთი | 18 | 2 | 36 |
| 2 | დიდიე დროგბა | ჩელსი | ინგლისი | 17 | 2 | 34 |
| 3 | ალფონსო ალვეში | ჰერენვენი | ჰოლანდია | 22 | 1,5 | 33 |
| 4 | რონალდინიო | ბარსელონა | ესპანეთი | 16 | 2 | 32 |
| 5 | მაქსიმ გრუზნოვი | ტრანს ნარვა | ესტონეთი | 31 | 1 | 31 |
| 6 | კრიშტიანუ რონალდუ | მანჩესტერი | ინგლისი | 15 | 2 | 30 |
| 7 | დიეგო მილიტო | სარაგოსა | ესპანეთი | 15 | 2 | 30 |
| 8 | დანიელ ნანსკოგი | სტაბეკი | ნორვეგია | 19 | 1,5 | 28,5 |
| 9 | ფრანჩესკო ტოტი | რომა | იტალია | 14 | 2 | 28 |
| 10 | ბლაიზ ნკუფო | ტვენტე | ჰოლანდია | 17 | 1,5 | 27 |

# სასაცილო ამბავი პენალტზე: მატყუარა ტოტი იქით მოატყუეს



**იტალიური** „რომას" კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ მიმდინარე სეზონში უკვე მეექვსე პენალტი გააცუდა — „რეჯინასთან" მატჩში მას რეჯიოკალაბრიელთა მეკარემ ანდრეა კამპანელომ აუღო. ამას ფეხბურთელებს შორის მცირე წაკინკლავებაც მოჰყვა, რაც საფინალო სასტვენის შემდეგაც გაგრძელდა.

„გლადიატორთა" მეათე ნომერმა ჟურნალისტებთან საუბრისას ახსნა, რა მოხდა იმ ეპიზოდში...

„დიდი ხანია, ერთმანეთს ვიცნობთ. კამპანელო ადრე „რომას" ახალგაზრდულ გუნდში იყო. მან მითხრა, ვიცი, საითაც დაარტყამ, ჩემგან მარჯვნივ გაგზავნი ბურთს და აგილებო. ეს შეჯიბრივით იყო. ვიფიქრე, ამით მაიძულებს, მარცხნივ დავარტყა და თვითონაც იქით გადახტება, ამიტომ ბურთს მართლაც მარჯვნივ გავგზავნი და მოვატყუებ-მეთქი. ასეც მოვიქეცი, მაგრამ ისიც მარჯვნივ გადახტა და გამოვიდა, რომ აქეთ მომატყუა. ამიტომ გავბრაზდი და ვუყვირე. ძალიან სამწუხაროა, რადგან მინდოდა, სწორედ პენალტით გამეტანა. რა ხანია, თერთმეტმეტრიანი ვერ გამაქვს, ამ სეზონში უკვე ბევრი გავაფუჭე" — აღნიშნა კამპანელოს მიერ დაბრიყვებულმა ტოტიმ.

მიმდინარე სეზონში ტოტიმ 10 პენალტიდან 6 გააცუდა. აქედან ოთხი სერია A-ში, ერთი იტალიის თასზე და ერთიც ჩემპიონთა ლიგაში. მიუხედავად ამისა, 14 გოლით იგი ამჟამად ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია.

„მინდა, სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი გავხდე, მაგრამ პენალტების გაცუდებას თუ გავაგრძელებ, ამის შანსი არ მექნება. თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან თავდაჯერებული მივდივარ, მაგრამ არ მიმართლებს. ვეცდები, გამოვასწორო და თამაშიდანაც მეტი გოლი გავიტანო. რეალურად ჩვენი მიზანი მეორე ადგილია, რადგან არ მგონია, ამ სეზონში „ინტერი" ვინმემ შეაჩეროს. ჩვენ კი იმაზე მეტს ვაკეთებთ, ვიდრე „რომასგან" ელოდნენ" — დასძინა ტოტიმ.

მოგეხსენებათ, „რომამ" „რეჯინას" 3:0 მოუგო. ანგარიში 55-ე წუთზე ტავანომ გახსნა, რომლისთვისაც ეს პირველი გოლი იყო „ჯალოროსის" მაისურით. „ვალენსიიდან" სეზონის ბოლომდე ნათხოვარი „ემპოლის" ექსფორვარდი ამით ძალიან ბედნიერია.

„ძალიან გამახარა „რომას" რიგებში გატანილმა პირველმა გოლმა, თან ჩვენი ბრწყინვალე ქომაგების თვალწინ. საერთოდ, დიდი ხანია, არ გამეტანა და იმედია, ეს წარმატება ძველებურად ათამაშებაში დამეხმარება" — თქვა ტავანომ.

**გიორგი კაკაბაძე**



# რა გინდათ ამ ადრიანოსგან?!

## სანტიაგო სოლარი: ვალენსია? ამას ვნახავთ!

მილანის „ინტერმა" ამ უქმეებზეც ბრწყინვალედ ითამაშა და „კატანიას" 5:2 მოუგო. ამ მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყო არგენტინელი სანტიაგო სოლარი, რომელსაც რობერტო მანჩინი არც ისე ხშირად აძლევს თავის გამოჩენის შანსს. საინტერესოა ისიც, რომ სწრაფმა და ტექნიკურმა გარემარბმა უჩვეულო პოზიციაზე, ფორვარდების უკან, გამთამაშებლად ითამაშა...

— საერთო აზრით, „კატანიასთან" მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყავით. არადა, თქვენთვის უჩვეულო პოზიციაზე თამაშობდით...

— მწვრთნელმა მთხოვა, უფრო მეტი შემეტია, თან თანაგუნდელებს დაცვაშიც დავხმარებოდი. ფაქტია ისიც, რომ ვინც უნდა თამაშობდეს და რა პოზიციაზეც, მაინც ვიგებთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კარგი, შეკრული გუნდი გვყავს, რომელშიც ჯანსაღი კონკურენციაა.

— არც ისე ხშირად გათამაშებენ. გაბრაზებული ხომ არ ხართ მწვრთნელზე?

— ვცდილობ და ვეცდები, რომ შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვიყენო და თავდაუზოგავად ვივარჯიშო. დანარჩენი კი მწვრთნელის გადასაწყვეტია.

— „კატანიასთან" შთამბეჭდავი გამარჯვება იმითაც იყო კარგი, რომ „ვალენსიასთან" საპასუხო მატჩს თავდაჯერებულნი და კარგ გუნებაზე შეხვდებით, თან სათადარიგო ფეხბურთელებმაც დაამტკიცეს, რომ მაღალ დონეზე თამაში შეუძლიათ...

— რა თქმა უნდა. მთავარია, რომ თითოეული ჩვენგანი გუნდის სრულფასოვან და საჭირო წევრად გრძნობს თავს, არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინ მეტს თამაშობს და ვინ — ნაკლებს.

— ადრიანო ბოლო დროს ხშირად არღვევს დისციპლინას და სათანადოდაც ვერ თამაშობს — მასზე რას გვეტყვით?

— ადრიანო ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა და, ვფიქრობ, „ვალენსიასთან" საპასუხო მატჩში ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდებით. მას ბევრი საჭირო გოლი აქვს გატანილი და მომავალშიც გაიტანს. ჩვენ ყველა გვჭირდება, ისიც და ალვარო რეკობაც, რომელიც ტრავმების გამო იშვიათად თამაშობს. ადრიანომ უკვე ბევრი რამ დაამტკიცა და აჩვენა. თან იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და პოტენციალი აქვს. შესაძლოა, მას ზედმეტსაც სთხოვენ, ამ დროს კი პასუხისმგებლობა ყველამ უნდა გავინაწილოთ.

— „ვალენსიასთან" გუნდის შანსებზე რას იტყვით?

— ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მომდევნო ეტაპზე გავიდეთ და იმედია, ამას შევძლებთ კიდეც

— რა განსხვავებაა წინა სეზონებისა და წლევანდელ „ინტერს" შორის?

— წინა სეზონში უკვე კარგი გუნდი გვყავდა, რაც ჩემპიონატის მეორე ნაწილში დავამტკიცეთ. ამ ზაფხულს კი რამდენიმე ჩინებული ფეხბურთელი დავიმატეთ და ისედაც ბრწყინვალე გუნდი თითქმის უნაკლოდ იქცა. ჩვენი სიძლიერის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ უკვე კარგა ხანია, ერთად ვართ და მშვენივრად შევთამაშდით. ისიც ვიცით, რას მოითხოვს ჩვენგან მწვრთნელი...

# მობრუნებათა სერია: №1

**ტურინის** „ტორინოს" ძველ-ახალი მწვრთნელი ჰყავს — ჯანი დე ბიაზი.

„ტორომ" ამ შაბათს სტუმრად „კიევოსთან" 0:3 წააგო, რაც მიჯრით მეექვსე მარცხი იყო და ახლა გასავარდნ ზონასთან მხოლოდ ორი ქულაა სხვაობა. ალბერტო ძაკერონი კი ამბობდა, ყველაფერი კარგად იქნება, არსად წასვლას არ ვაპირებო, მაგრამ ტურინელთა პრეზიდენტი ურბანო კაირო, რომელიც აქამდე ყველანაირად აფარებდა ხელს ძაკერონის, იძულებული გახდა, იგი დაეთხოვა.

დე ბიაზი ის კაცია, ვინც „ტორინო" სერია A-ში დააბრუნა, მაგრამ ჩემპიონატის დაწყებამდე სამი დღით ადრე კაირომ იგი მოულოდნელად ძაკერონით შეცვალა. ამის მიზეზად იტალიის თასიდან გავარდნა და არადამაჯერებელი თამაში დაასახელა. იმასაც ამბობენ, დე ბიაზი ქომაგებს არ უყვარდათ, აქაოდა, გუნდს ზედმეტად დაცვით და უსახურ ფეხბურთს ათამაშებსო...

ასეა თუ ისე, ფაქტია, ძაკერონიმ არ გაამართლა და „ტორინოს" დე ბიაზი დაუბრუნდა.

„ალბერტო ძაკერონი „ტორინოს" მწვრთნელი აღარ არის. გუნდში ჯანი და ბიაზი დაბრუნდა, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას" — თქვა კაირომ.

**კოკი კანდელაკი**


ძველი


ახალი

# მობრუნებათა სერია: №2


ძველი


ახალი

**კვირას,** „ლაციოსთან" საშინაო მარცხის შემდეგ, „კალიარის" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელი ფრანკო კოლომბა დაითხოვა და გუნდში მარკო ჯამპაოლო დააბრუნა.

კოლომბამ ჯამპაოლო 17 დეკემბერს შეცვალა, მაგრამ მისი მუშაობა წარმატებული არ გამოდგა.

„ლაციოსთან" წაგების მერე სარდინიელები ბოლოდან მეშვიდე ადგილზე დაეშვნენ და გასავარდნ ზონასთან ოდენ სამი ქულა აშორებთ — ცხადია, ჯამპაოლოს მიზნად „კალიარის" სერია A-ში დატოვებას უსახავენ.

აქვე ვთქვათ, რომ ახალგაზრდა სპეციალისტს აქამდე „ასკოლიში", „ჯულიანოვაში", „ტერამოსა" და „პესკარაში" უმუშავია.

„გვინდა გაცნობოთ, რომ ფრანკო კოლომბა „კალიარის" მთავარი მწვრთნელი აღარ არის. მადლობას ვუხდით მას გაწეული სამსახურისთვის და წარმატებებს ვუსურვებთ. კოლომბას მარკო ჯამპაოლო შეცვლის" — ნათქვამია სარდინიელთა ოფიციალურ განცხადებაში.

კოლომბას გათავისუფლება მწვრთნელის მოხსნის მეცხრე ფაქტია მიმდინარე სერია A-ში.

**კოკი კანდელაკი**

### არგენტინა

კლაუსურა
მესამე ტური

სან ლორენსო 1:0 ბელგრანო

### მექსიკა

კლაუსურა
მეშვიდე ტური

ამერიკა 2:0 სანტოსი
ტეკოსი 3:4 პაჩუკა

### ჩილე

პრიმერადივიზიონი. V ტური

უნიონ ესპანიოლა — აუდაქს იტალიანო 2:2; უაჩიპატო — დეპორტეს კონსეპსიონი 3:0; უნ. დე ჩილე — ლა სერენა 0:0; კობრელოა — ო ჰიგინსი 5:0; კოკიმბო — ანტოფაგასტა 2:1; მელიპილია — კობრესალი 2:0; ატლეტიკო — პალესტინო 1:0; სანტიაგო უონდერერსი — პუერტო მონტი 1:1; ევერტონი — უნ. კათოლიკა 1:0

# სილვიო ბერლუსკონი: რონალდინიოც, ბუფონიც



**იტალიური** „მილანის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ დაადასტურა, რომ მომავალ ზაფხულს რონალდინიოსა და ჯანლუიჯი ბუფონის შეძენას ეცდება. უკვე დიდი ხანია, „შავ-წითლები“ ამ ვარსკვლავებს უტრიალებენ, თუმცა დონ სილვიოს ისიც ესმის, რომ ამ ტრანსფერების გაჩარხვა ადვილი არ იქნება.

„თუ „ბარსელონა“ რონალდინიოსთან კონტრაქტის გახანგრძლივებას ვერ მოახერხებს, ან მის გაყიდვას გადაწყვეტს, დარწმუნებული ვარ, რონი ჩვენი გახდება. იგი საოცარი ფეხბურთელია და თავადაც ხვდებით, რამხელა გავლენას მოახდენს თანაგუნდელებზე თუ მეტოქის მოთამაშეებზე. რონალდინიო „მილანს“ ძალიან გააძლიერებს, მაგრამ მასთან ერთადაც კი არ გვექნება დიდი წარმატებების გარანტია, რადგან ამისთვის სხვა რამეცაა საჭირო. თანამედროვე ფეხბურთში იღბალი ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს“ — თქვა ბერლუსკონიმ.

რაც შეეხება ბუფონს, მის ხელში ჩაგდებას „მილანი“ ალბათ იმ შემთხვევაში ეცდება, თუ გუნდს ნელსონ დიდა დატოვებს. დიდი შანსია, ასეც მოხდეს, რადგან ბრაზილიელ მეკარეს კლუბთან კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება, გახანგრძლივებაზე კი მხარეები ჯერ ვერ თანხმდებიან. მთავარი პრობლემა ის არის, რომ დიდა ხელფასის საგრძნობლად გაზრდას ითხოვს.

სილვიო ბერლუსკონი: „ბუფონი ბრწყინვალე მეკარეა და, თუ დიდასთან კონტრაქტს ვერ გავახანგრძლივებთ, შევეცდებით, იგი დავიმატოთ. ნელსონმა უნდა გაიგოს, რომ იმაზე დიდ ხელფასს ვერ დავუნიშნავთ, რაც სხვებს, მაგალითად, კაკას აქვს“.

**კოკი კანდელაკი**

## იაკინტას საჯეს აახევენ

**იტალიური** „უდინეზეს“ ფორვ რდ ვინჩენცო იაკინტას მარცხენა ყვრიმალი გაუტყდა და გუშინ ოპერაცია გაუკეთეს. მსოფლიოს ჩემპიონი „პარმასთან“ მატჩის 54-ე წუთზე საკაცით გაიყვანეს მოედნიდან — იაკინტა მეტოქეს შეეჯახა და საავადმყოფოში წაიყვანეს.

თავიდან შიშობდნენ, ყბა ხომ არ აქვს დამტვრეულიო, მაგრამ მხოლოდ ყვრიმალი დაზიანებია. ჯერ ზუსტად უცნობია, რამდენ ხანს მოუწევს იაკინტას მკურნალობა.

## უბედური საშა

**„ასკოლის“** თავდამსხმელ საშა ბიელანოვიჩისთვის სეზონი ნაადრევად დასრულდა — სტუმრად „ლივორნოსთან“ შეხვედრის მე-15 წუთზე ფეხი გადაუბრუნდა და მყესები დაუწყდა.

ექიმების ვარაუდით, საეჭვოა, ბიელანოვიჩმა ამ სეზონში ითამაშოს. „ასკოლი“ ისედაც ცალი ფეხით სერია B-შია და უფორვარდობა კიდევ უფრო გაურთულებს საქმეს.

## მოაწერა, მოაწერა!

**ჟურნალ** „კონტროკამპოს“ ცნობით, „ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ კონტრაქტი სამი წლით გაახანგრძლივა და ამით მისი და მასიმო მორატის კატათაგვობანა დასრულდა. ოფიციალურად ეს ამბავი 6 მარტს, „ვალენსიასთან“ საპასუხო მატჩის წინ გაცხადდება.

პატრონი და მწვრთნელი ერთმანეთს პარასკევს შეხვდნენ და გარიგებაც შედგა. როგორც ამბობენ, მათ გუნდის სამომავლო ტრანსფერებზეც უსაუბრიათ და ტიერი ანრი, ხავიერ სავიოლა და ჯანლუიჯი ბუფონი უხსენებიათ.

## ლუპოლიმ თოფი იაფი გაცვალა

**ლონდონის** „არსენალის“ იტალიელმა ფორვარდმა არტურო ლუპოლიმ, რომელიც ამჟამად „დერბიშია“ განათხოვრებული, „ფიორენტინასთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა — 19 წლის ლუპოლიმ ადრევე განაცხადა, რომ იტალიაში სურს კარიერის გაგრძელება.

იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებში მისი დებიუტი დეკემბერში ლუქსემბურგთან შედგა და გოლიც გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# იუვეს ხმა: ეს იქ, ის აქ და ასე შემდეგ

**ტურინის** „იუვენტუსის“ გარშემო მითქმა-მოთქმა გრძელდება...

ინგლისური „ლივერპული“ დავიდ ტრეზეგეს არ ეშვება; იტალიური ჟურნალ-გაზეთების ცნობით, „მილანს“ ჯანლუიჯი ბუფონი სურს და სანაცვლოდ „ბებერ ქალბატონს“ ალბერტო ჯილარდინოს სთავაზობს; თავად „იუვეს“ „ბენფიკას“ ბრაზილიელ მცველ ლუიზაოსა და სანტანდერის „რასინგის“ სერბ ფორვარდ ნიკოლა ჟიგიჩისთვის დაუდგამს თვალი; მაურო კამორანეზიმ კონტრაქტის გახანგრძლივება იუარა და წასვლაზე ფიქრობს; მთავარ მწვრთნელ დიდიე დეშანის შესაძლო წასვლა ხელმძღვანელობამ ისევ უარყო; „ბიანკონერის“ კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო გრძნობს, რომ სერია A მოახლოვდა...

მოკლედ, მივყვეთ მიმდევრობით...

ჯილარდინო „იუვენტუსს“, ბუფონი კი „მილანს“ აქამდეც არაერთხელ დაუკავშირეს — იტალიური პრესა გვამცნობს, რომ მომავალ ზაფხულს კლუბებმა, შესაძლოა, ეს ფეხბურთელები გაცვალონ.

„შავ-წითლები“ ნელსონ დიდას ღირსეულ შემცვლელს ეძებენ, რადგან დიდი შანსია, ბრაზილიელმა „სან სირო“ დატოვოს. ამავე დროს, „იუვედან“ ტრეზეგეს წასვლაზეც საუბრობენ და ჯილა ტურინელებს სწორედ ფრანგის შემცვლელად გამოადგებათ.

ტრეზეგეს მსურველი ბევრია, „ლივერპულის“ თამადობით. ფრანგს ტურინელებთან კონტრაქტი 2008 წლამდე აქვს და გახანგრძლივებას არ აპირებს.

„რამდენიმე ფეხბურთელი გვაინტერესებს, მათ შორის, იტალიაშიც და ერთ-ერთი მათგანი ტრეზეგეა“ — თქვა ინგლისური კლუბის მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა.

„იუვენტუსსა“ და ლონდონის „ტოტენჰემს“ ესპანეთში, „რასინგ“ — „ხიმნასტიკის“ მატჩზე სკაუტები გაუგზავნიათ სანტანდერელთა აყლაყუდა ფორვარდზე ნიკოლას ჟიგიჩზე დასაკვირვებლად. 26 წლის სერბს თავის ყოფილ კლუბ „ცრვენა ზვეზდაში“ 77 მატჩში 55 გოლი აქვს გატანილი. მას შარშან ზაფხულსაც უკავშირებდნენ „ბებერ ქალბატონს“, მაგრამ ჟიგიჩი „რასინგში“ აღმოჩნდა.

რაც შეეხება ბენფიკელ ლუიზაოს, ტურინელები მას უკვე რამდენიმე თვეა, აკვირდებიან. ამბობენ, „იუვე“ ამ ტრანსფერის გასაჩარხად „ბენფიკაში“ განათხოვრებულ ფაბრიციო მიკოლის გამოიყენებს და ლუიზაოს სანაცვლოდ პორტუგალიელებს ტანმორჩილ ფორვარდს დაუთმობსო.

— „იუვენტუსიდან“ ჯერ არავინ დამკავშირებია, მაგრამ ვიცი, რომ ტურინელები ჩემით არიან დაინტერესებულნი და ეს ძალიან მსიამოვნებს. იტალიაში სიამოვნებით ვითამაშებდი, მაგრამ ახლა მხოლოდ „ბენფიკაზე“ ვფიქრობ — თქვა ლუიზაომ.

კამორანეზი ერთ-ერთი იმ ვარსკვლავთაგანია, რომელიც „იუვეს“ სერია B-ში ჩაჰყვა, მაგრამ ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, რას იზამს მომავალ სეზონში. მას „ვალენსია“, „ლიონი“ და სხვა კლუბები ეპატიჟებიან.

ახლახან ტურინელებმა 30 წლის ნახევარმცველს კონტრაქტის 2010 წლამდე გახანგრძლივება და ხელფასის წლიურად 2,5 მილიონ ევრომდე გაზრდა შესთავაზეს, მაგრამ მან ახალი შეთანხმების გაფორმებისგან თავი შორს დაიჭირა. მოქმედი კონტრაქტით, იტალიელ-არგენტინელი „ბებერ ქალბატონთან“ 2009 წლამდეა დაკავშირებული.

„ახალი კონტრაქტის გაფორმება ჯერ ნაადრევია. სეზონის ბოლოს დაველოდოთ. მერე „იუვენტუსი“ გაგვაცნობს თავის გეგმებს და იმასაც გააჩნია, გუნდში რა ვითარება იქნება. ისიც ვიცი, რომ მალე მაუროს მსურველი იტალიური, ესპანური და ფრანგული კლუბები დამიკავშირდებიან“ — განაცხადა კამორანეზის აგენტმა სერჯო ფორტუნატომ.

ბოლო დროს გახშირდა ხმები, სეზონის ბოლოს დეშანი „იუვენტუსს“ დატოვებსო. ცოტა ხნის წინ თავად ფრანგმა სპეციალისტმაც აღნიშნა, გამორიცხული არაფერიაო. თუმცა „ბიანკონერის“ პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ კიდევ ერთხელ გამოხატა კლუბის პოზიცია — დიდიე ხელშეუხებელიაო.

„სეზონის ბოლომდე კიდევ ბევრი მატჩია და კონცენტრაცია არ უნდა დავკარგოთ. ამიტომ ეს მითქმა-მოთქმა ახლა სრულიად უადგილოა. დეშანი გუნდის მწვრთნელობას დათანხმდა მიუხედავად იმისა, რომ სერია B-ში ვიყავით და მინუს ქულები გვქონდა. რთულ პერიოდში მან ბრწყინვალედ იმუშავა. კლუბი სწორ გზაზეა და კიდევ შეგვიძლია მომატება. ასე რომ, დიდიეს მოხსნაზე საუბარი სისულელეა. რაც შეეხებათ ფეხბურთელებს, რა თქმა უნდა, ძალიან გვინდა ვარსკვლავების შენარჩუნება. დელ პიერო? ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ იგი „იუვეში“ დარჩება, მაგრამ რაიმე კონკრეტულზე ჯერ ნუ ვისაუბრებთ. ადრეა ტრანსფერებზე ლაპარაკიც. ჯანლუკა ძამბროტასა და ფაბიო კანავაროს ჩვენ გულებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ და მათთვის „იუვენტუსის“ კარი ღიაა. თუმცა ვიცი, რომ მათი დაბრუნება ძალიან ძნელი იქნება“ — თქვა კობოლი ჯილიმ.

„ბებერი ქალბატონის“ კაპიტანი ალექს დელ პიეროც ფიქრობს, რომ გუნდი სწორ გზაზე დგას...

„ყოველთვის 5:0-ს ვერ მოიგებ, მაგრამ თუ შემართებით თამაშს გავაგრძელებთ, სერია A უფრო და უფრო ახლოს მოვა. „კროტონესთან“ შშვენივრად გავისარჯეთ, რადგან მატჩს სწორი განწყობით მივუდექით. მთავარი სწორედ ეს არის. ამ შთამბეჭდავმა გამარჯვებამ თავდაჯერება შეგვმატა და ახლა უფრო უნდა მოვუმატოთ. რაც შეეხება ჩემს მომავალს, ამაზე საუბარი ჯერ ადრეა. ვიცი, რომ კობოლი ჯილის მომავალში ჩემთვის ერთ-ერთი ხელმძღვანელის პოსტის შეთავაზება სურს, მაგრამ ჩემი ადგილი კიდევ რამდენიმე წელი მოედანზეა“.

**გიორგი კაკაბაძე**



დავიდ ტრეზეგე



ჯანლუიჯი ბუფონი



მაურო კამორანეზი

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 27 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 13 | ბირმინგემი-ლიდსი | 1.50 | 3.70 | 6.70 | 1.06 | 1.22 | 2.38 |
| 23:45 | 462 | ლუტონი-ნორვიჩი | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 27 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 26 | დონკასტერი-იოვილი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 23:45 | 27 | როტერჰემი-სუონსი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 23:45 | 463 | ოლდემი-ბლექპული | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 23:45 | 464 | ქრიუ-სკანთორპი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 27 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 465 | ჩესტერი-ჰერეფორდი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 27 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 52 | კემბრიჯი-ფორესტ გრინი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 23:45 | 53 | გრეისი-სტ.ალბანსი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 17:30 | 466 | ჰალიფაქსი-ნორთვიჩი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 27 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 467 | ქუინი-კლაიდი | 2.40 | 3.40 | 2.50 | 1.40 | 1.22 | 1.44 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 27 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 468 | კოუდენბითი-სტირლინგი | 3.40 | 3.50 | 1.85 | 1.72 | 1.19 | 1.21 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 27 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 85 | ისტ სტირლინგი-ბერიკი | 5.50 | 4.20 | 1.45 | 2.38 | 1.14 | 1.07 |
| 23:45 | 469 | დამბარტონი-არბროთი | 2.25 | 3.40 | 2.60 | 1.35 | 1.20 | 1.47 |
| 23:45 | 470 | ალბიონი-სტენჰაუზმუირი | 1.90 | 3.50 | 3.30 | 1.23 | 1.20 | 1.69 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 91 | შალკე-ჰამბურგი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 18:30 | 93 | არმინია-ნიურნბერგი | 3.20 | 3.10 | 2.20 | 1.57 | 1.30 | 1.28 |
| 18:30 | 94 | ჰერტა-ბაიერნი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| 18:30 | 95 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 18:30 | 97 | ვერდერი-ბოხუმი | 1.32 | 4.50 | 9.00 | 1.02 | 1.15 | 3.00 |
| 18:30 | 99 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 1.90 | 3.20 | 3.85 | 1.19 | 1.27 | 1.74 |
| 18:00 | 461 | აინტრახტი-ჰანოვერი | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 101 | ალემანია-მაინცი | 2.20 | 3.20 | 3.15 | 1.30 | 1.29 | 1.58 |
| 20:00 | 102 | დორტმუნდი-კოტბუსი | 1.60 | 3.50 | 5.70 | 1.09 | 1.24 | 2.16 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 151 | ასკოლი-პარმა | 2.40 | 2.90 | 3.10 | 1.31 | 1.35 | 1.49 |
| 18:00 | 152 | კიევო-რომა | 4.00 | 3.10 | 1.95 | 1.74 | 1.31 | 1.19 |
| 18:00 | 154 | ემპოლი-მესინა | 1.65 | 3.20 | 5.70 | 1.08 | 1.27 | 2.04 |
| 23:30 | 156 | ინტერი-უდინეზე | 1.30 | 4.70 | 9.00 | 1.01 | 1.13 | 3.08 |
| 18:00 | 158 | ლაციო-კატანია | 1.50 | 3.50 | 7.50 | 1.04 | 1.25 | 2.38 |
| 18:00 | 159 | პალერმო-მილანი | 3.20 | 2.90 | 2.35 | 1.52 | 1.35 | 1.29 |
| 18:00 | 160 | რეჯინა-ფიორენტინა | 3.30 | 3.00 | 2.25 | 1.57 | 1.33 | 1.28 |
| 18:00 | 161 | სამპდორია-ატალანტა | 2.20 | 2.90 | 3.45 | 1.25 | 1.34 | 1.57 |
| 18:00 | 162 | სიენა-ლივორნო | 2.25 | 2.80 | 3.50 | 1.24 | 1.36 | 1.55 |
| 18:00 | 163 | ტორინო-კალიარი | 2.25 | 2.80 | 3.50 | 1.24 | 1.36 | 1.55 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 216 | სევილია-ბარსელონა | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 23:00 | 217 | ვალენსია-სელტა | 1.32 | 4.50 | 9.00 | 1.02 | 1.15 | 3.00 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 208 | ბილბაო-ტარაგონა | 1.75 | 3.20 | 4.70 | 1.13 | 1.27 | 1.90 |
| 21:00 | 209 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 2.10 | 3.20 | 3.35 | 1.26 | 1.29 | 1.63 |
| 21:00 | 210 | დეპორტივო-ბეტისი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 21:00 | 211 | მალიორკა-ლევანტე | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 22:00 | 212 | რეალი-ხეტაფე | 1.60 | 3.40 | 5.70 | 1.08 | 1.24 | 2.12 |
| 23:45 | 214 | უელვა-ატლეტიკო | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 21:00 | 215 | რასინგი-ოსასუნა | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 21:00 | 219 | სარაგოსა-სოსიედადი | 1.50 | 3.70 | 6.70 | 1.06 | 1.22 | 2.38 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 20:10 | 231 | სტ.ეტიენი-ლიონი | 4.20 | 3.10 | 1.90 | 1.78 | 1.30 | 1.17 |
| 23:00 | 233 | ოსერი-რენი | 2.35 | 3.00 | 3.10 | 1.31 | 1.33 | 1.52 |
| 23:00 | 234 | ლილი-ტრუა | 1.50 | 3.50 | a7.20 | 1.04 | 1.24 | 2.35 |
| 23:00 | 236 | ლორიანი-ნიცა | 2.45 | 2.90 | 3.00 | 1.32 | 1.34 | 1.47 |
| 23:00 | 238 | მონაკო-ბორდო | 2.40 | 3.00 | 3.00 | 1.33 | 1.33 | 1.50 |
| 23:00 | 239 | ნანსი-ლე მანი | 2.20 | 2.90 | 3.40 | 1.25 | 1.33 | 1.56 |
| 23:00 | 240 | სედანი-პსჟ | 3.10 | 2.90 | 2.40 | 1.49 | 1.35 | 1.31 |
| 23:00 | 241 | ვალენსიენი-ტულუზი | 2.45 | 3.00 | 2.85 | 1.34 | 1.31 | 1.46 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 243 | სოშო-ნანტი | 1.80 | 3.10 | 4.70 | 1.13 | 1.30 | 1.86 |
| 23:45 | 244 | მარსელი-ლანსი | 2.30 | 3.00 | 3.15 | 1.30 | 1.32 | 1.53 |
| | | გერმანია. თასი | | | | | | |
| | | 27 თებერვალი | | | | | | |
| 22:00 | 411 | ნიურნბერგი-ჰანოვერი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 22:00 | 412 | ვოლფსბურგი-ალემანია | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 23:30 | 413 | ოფენბახი-აინტრახტი | 2.85 | 3.10 | 2.30 | 1.48 | 1.27 | 1.32 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 414 | შტუტგარტი-ჰერტა | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 27 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 415 | როვერსი-ბრისტოლი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| | | შოტლანდია. თასი | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 740 | მოზერუელი-სტ ჯონსტონი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| | | ესპანეთი. თასი | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 416 | ბეტისი-სევილია | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| 23:00 | 417 | ოსასუნა-ხეტაფე | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 23:00 | 418 | ვალიადოლიდი-დეპორტივო | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 23:45 | 419 | სარაგოსა-ბარსელონა | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| | | საფრანგეთი. თასი | | | | | | |
| | | 27 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 420 | სედანი-ნანტი | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| 23:45 | 421 | მარსელი-ვანესი | 1.15 | 5.80 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.01 |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 21:15 | 422 | მონსიუ-ლანსი | 9.50 | 4.00 | 1.32 | 2.81 | 1.15 | 1.00 |
| 23:45 | 423 | სოშო-პსჟ | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| | | ბელგია. თასი | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 424 | ბრიუგე-კორტრაიკი | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| 23:30 | 425 | გენტი-მეხელენი | 1.34 | 4.40 | 7.50 | 1.02 | 1.13 | 2.77 |
| 23:30 | 426 | ანტვერპენი-სტანდარდი | 4.40 | 3.30 | 1.70 | 1.88 | 1.22 | 1.12 |
| 23:45 | 427 | გენკი-ანდერლეხტი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| | | ჰოლანდია.* თასი | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 22:00 | 428 | ვალვაიკი-როდა | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 23:00 | 429 | უტრეხტი-ალკმაარი | 3.30 | 3.40 | 1.95 | 1.67 | 1.22 | 1.23 |
| 23:45 | 430 | ბრედა-პსვ | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 23:45 | 431 | ტილბურგი-აიაქსი | 5.70 | 3.70 | 1.50 | 2.24 | 1.18 | 1.06 |
| | | პორტუგალია. თასი | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 18:30 | 471 | ბრაგანსა-ბელენენსეში | 6.50 | 3.80 | 1.45 | 2.39 | 1.18 | 1.04 |
| 19:00 | 472 | ბეირა მარი-ბოავიშტა | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 23:45 | 473 | სპორტინგი-აკადემიკა | 1.32 | 4.50 | 8.00 | 1.02 | 1.13 | 2.88 |
| | | საბერძნეთი. თასი | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 432 | პანათინაიკოსი-ქსანთი | 1.35 | 4.20 | 7.50 | -1.02 | 1.14 | 2.69 |
| | | თურქეთი. თასი | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 434 | გაზიანთეფი-ტრაბზონი | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| 22:00 | 435 | მანისა-ბეშიქთაში | 2.85 | 3.10 | 2.25 | 1.48 | 1.25 | 1.30 |
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 436 | გენჩლერბირლიგი-ფენერბაჩე | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 27 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 450 | ბანფილდი-ელ ნასიონალი | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.07 | 1.21 | 1.98 |
| 23:45 | 452 | გრემიო-კუკუტა | 1.25 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.13 |
| 23:45 | 453 | ტოლუკა-ბოლივარი | 1.20 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.42 |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 455 | ინტერნასიონალი-ემელეკი | 1.20 | 5.20 | 10.50 | 1.00 | 1.07 | 3.47 |
| 23:45 | 456 | სან პაულუ-ალიანზა ლიმა | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 23:45 | 457 | ნეკახა-აუდაქსი | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| | | ინგლისი FA Cup | | | | | | |
| | | 27 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 737 | რედინგი-მანჩესტერი | 4.30 | 3.30 | 1.80 | 1.86 | 1.26 | 1.16 |
| 23:45 | 738 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 2.55 | 3.30 | 2.55 | 1.43 | 1.27 | 1.43 |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 739 | ბლექბერნი-არსენალი | 3.30 | 3.30 | 2.05 | 1.64 | 1.26 | 1.26 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 27 თებერვალი | | | | | | |
| 20:30 | 567 | კალპა-ესპოო | 3.50 | 4.20 | 1.52 | 1.90 | 1.05 | 1.11 |
| 20:30 | 568 | ლუკო-ჰაამეენლინა | 2.30 | 4.10 | 2.10 | 1.47 | 1.09 | 1.38 |
| 20:30 | 569 | პელიკანსი-ტაპარა | 2.30 | 4.10 | 2.10 | 1.47 | 1.09 | 1.38 |
| 20:30 | 570 | სეიპა-იოკერიტი | 2.65 | 4.20 | 1.80 | 1.62 | 1.07 | 1.25 |
| 20:30 | 571 | ჰელსინკი-ტურკუ | 1.80 | 4.20 | 2.80 | 1.25 | 1.09 | 1.67 |
| 20:30 | 572 | იუვესკიულე-კერპეტი | 2.80 | 4.20 | 1.80 | 1.67 | 1.09 | 1.25 |
| 20:30 | 573 | ილვესი-ესეტი | 1.45 | 4.20 | 4.50 | 1.07 | 1.09 | 2.17 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 27 თებერვალი | | | | | | |
| 11:00 | 601 | ამური-სიბირი | 2.80 | 4.50 | 1.70 | 1.72 | 1.05 | 1.23 |
| 16:00 | 602 | ნოვოკუზნეცკი-ს.იულაევი | 2.15 | 4.20 | 2.20 | 1.42 | 1.08 | 1.44 |
| 17:00 | 603 | ლადა-ლოკომოტივი | 2.20 | 4.20 | 1.90 | 1.44 | 1.01 | 1.30 |
| 17:00 | 604 | ტრაქტორი-ცსკა | 2.40 | 4.20 | 1.80 | 1.52 | 1.02 | 1.25 |
| 20:00 | 605 | ვიტიაზი-ნეფტეხიმიკი | 2.10 | 4.20 | 2.20 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 20:00 | 606 | აკ-სევერსტალი | 1.70 | 4.40 | 2.50 | 1.22 | 1.01 | 1.59 |
| 20:00 | 607 | დინამო-მვდ | 1.50 | 4.50 | 3.30 | 1.12 | 1.03 | 1.90 |
| 19:30 | 608 | აკ ბარსი-მაგნიტოგორსკი | 1.55 | 4.60 | 3.30 | 1.15 | 1.05 | 1.92 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 21:15 | 729 | დინამო-უნიკახა | 1.40 | 12.00 | 2.70 | 1.25 | 1.00 | 2.20 |
| 22:45 | 730 | პროკომი-პანათინაიკოსი | 3.50 | 12.00 | 1.25 | 2.70 | 1.00 | 1.13 |
| 23:45 | 731 | ტაუ-რომა | 1.15 | 12.00 | 4.50 | 1.04 | 1.00 | 3.27 |

ქართული ლეგიონი

# სან ფერნანდომ ყურები ცქვიტა

**გასული** კვირის გმირი უდავოდ ზაზა ფაჩულიაა, ვინც ნბა-ს ერთ-ერთ ყველაზე მრისხანე გუნდს 23 ქულა ჩაუგდო და ეს სულ რაღაც 23 წუთში მოახერხა.

ფაჩულიას ამ ხვავიან მონაგარს ისიც მატებს ბრწყინვალებას, რომ მისი მეტოქე ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეფარე ტიმ დანკანი იყო. ერთადერთი ისაა დასანანი, რომ „ატლანტამ“ „სან ანტონიოსთან“ წააგო, თუმც ამაში ჩვენიანს ვერანაირად ვერ დავადანაშაულებთ. ზაზამ მესამე მეოთხედში გახსნა ქულათა მარაგი და ხსენებულ 12-წუთეულში 15 ქულა მოუნაგრა „ატლანტას“. მანამდე გვარიანად ჩამორჩენილმა „ქორებმა“ ზაზას ძალისხმევით ანგარიშის გათანაბრება შეძლეს, მაგრამ ქართველს გვერდით ვერავინ დაუდგა და...

ფაჩულიას არც გასული კვირის სხვა ორ მატჩში უთამაშია ცუდად, თუმც ნახსენებ შედეგთან 12 და 9 ქულა ვერაფრით მივა.

გამოირჩა ნბა-დან ევროპაში გადაბარგებული ნიკა ცქიტიშვილიც, რომელიც ისევე, როგორც ამერიკაში, ესპანეთშიც უთამაშებლობას უჩივის. „სკიტას“ არც ამჯერად უბურთავია დიდხანს, მოედანზე 16 წუთი დაყო, მაგრამ „მურსიასთან“ ჯახში სანფერნანდოელებს 15 ქულა მიაშველა, რაც მისი ესპანური რეკორდია.

ცქიტიშვილს საჯარიმოები არ გაუცუდებია — 6-დან 6 ჩააგდო და არც ერთადერთი სამქულიანის სროლისას გამრუდებია მიზანი. ერთი სიტყვით, ნიკამ თავი შეახსენა სანფერნანდოელებს და იმედია, ამის შემდეგ მას უფრო მეტი ხნით ათამაშებენ.

დანარჩენ ლეგიონერთა შორის თავი დიდად არავის გამოუჩენია. გამოცდილთაგან ქულუხვობას კი ვართ ნაჩვევი, მაგრამ 20 წლის გიორგი გაფრინდაშვილი ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს დიდ კალათბურთში. გაფრინდაშვილის ასკ-ს იუნიორთა გუნდი ლატვიის უმაღლესი ლიგის მორიგ ტურში ნამდვილ რიგის ასკ-ს შეხვდა. ეს გუნდები ერთ კლუბში არიან გაერთიანებულნი და ემბლემაც ერთი აქვთ, თუმც ჩემპიონატში ცალ-ცალკე გამოდიან, რაც ცოტა უცნაურია. იუნიორებმა ტოლი არ დაუდეს უფროს არმიელებს და საბოლოოდ მხოლოდ 8 ქულით წააგეს.

გაფრინდაშვილმა მოედანზე 30 წუთი გაატარა და 11 ქულასთან ერთად, 5 მოხსნა და 2 პასიც მიითვალა. ერთი ხანობა ის მთელ ლატვიურ ლიგას ლიდერობდა პასებში, მაგრამ ბოლო თამაშებში ამ მხრივ ცოტა მოიკოჭლა და პირველობა დაკარგა.

მანუჩარ მარკოიშვილმა და დანარჩენმა ოლიმპიელებმა კი ... ითამაშეს შინ თანამემამულე „ჰელიოსთან“ და ისე წააგეს, 60 ქულასაც ვერ უწიეს. მანუჩარმა 38 წუთი ითამაშა და მოედნიდან 7-7 ქულა-მოხსნა გამოიტანა.

ქულების გროვების იმპა გაუხსნა ვლადიმერ ბოისას, რომელსაც ბოლო მატჩებში არ უმართლებდა. ვოვამ სერია A-ს მორიგ ტურში 19 წუთი ითამაშა და „სიენას“ „აველინოს“ დამარცხებაში 8 ქულა მიაშველა.

დიჟონელ ვახტანგ ნაცვლიშვილს მყესი აქვს დაჭიმული და ორ კვირაზე მეტია, არ უთამაშია.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი ცინცაძე | როკი | ბალტიის ლიგა | ნევეჟისი<br>ატლეტასი | ს<br>შ | 66:74<br>98:60 | 32<br>არ უთამაშია | 8 | 2 | 3 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | ჰელიოსი | შ | 59:64 | 38 | 7 | 7 | 0 |
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | აველინო | შ | 83:64 | 19 | 8 | 4 | 0 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | ევროთასი<br>საფრანგეთის ჩემპიონატი | კალევი<br>სტრასბური | შ<br>ს | 68:64<br>70:78 | არ უთამაშია<br>არ უთამაშია | | | |
| ვიქტორ სანიკიძე | ესტუდიანტესი | ევროთასი<br>ესპანეთის ჩემპიონატი | ლიეჟი<br>ფუენლაბრადა | ს<br>ს | 87:73<br>69:67 | 16<br>არ უთამაშია | 5 | 7 | 0 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | სან ფერნანდო | ესპანეთის ჩემპიონატი | მურსია | ს | 81:89 | 16 | 15 | 2 | 0 |
| სერგო ათუაშვილი | ნეპტუნასი | ბალტიის ლიგა | ნევეჟისი | შ | 73:83 | 7 | 6 | 1 | 0 |
| გიორგი გაფრინდაშვილი | ასკ-იუნიორები | ლატვის უმაღლესი ლიგა | ასკ | შ | 71:79 | 30 | 11 | 5 | 2 |
| ლევან შენგელია | აკადემია | ლიტვის I ლიგა | ალიტა | შ | 74:88 | 7 | 0 | 1 | 2 |
| ტაირონ ელისი | ნაპოლი | სერია A | ემილია | შ | 95:80 | 19 | 7 | 1 | 2 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგ. ჩემპიონატი | ჩიკაგო<br>ჰიუსტონი<br>სან ანტონიო | ს<br>შ<br>შ | 81:106<br>105:99<br>96:103 | 25<br>32<br>23 | 9<br>12<br>23 | 7<br>7<br>10 | 0<br>0<br>1 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაგრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური



გიორგი ცინცაძის (№5) „როკი“ „ნევეჟისთან“ დამარცხდა

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სტუდემაიერის სტუმრობა არც ატლანტასთვისაა ხუმრობა



25 თებერვალი

**ატლანტა 106:115 ფინიქსი**

**ატლანტა:** კლაქსტონი (2), ჯ. ჯონსონი (28), მ. უილიამსი (23 ქულა, 10 მოხსნა), სმიტი (14), რაიტი (6); ე. ჯონსონი (17), ჩილდრესი (8), **ფაჩულია** (7 წუთი, 6 ქულა, 2 მოხსნა), ჯონსი (2), შ. უილიამსი

**ფინიქსი:** ნეში (14 ქულა, 13 პასი), ბელი (12), მერიონი (21), ტომასი, სტუდემაიერი (43 ქულა, 16 მოხსნა, 6 პასი, 3 დაფარება); ბარბოსა (19), ბერკი, ჯონსი

**ინდიანა 93:110 საკრამენტო**

**ინდიანა:** ონილი (19), დანლივი (18)

**საკრამენტო:** მარტინი (35), ბიბი (28)

**ნიუ ჯერსი 101:92 ნიუ იორკი**

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (40 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), კიდი (11 ქულა, 14 პასი)

**ნიუ იორკი:** მარბერი (22), კარი (18)

**დეტროიტი 95:93 ჩიკაგო**

**დეტროიტი:** ჰამილტონი (22), ვებერი (21)

**ჩიკაგო:** გორდონი (21), ბრაუნი (19 ქულა, 12 მოხსნა), დენგი (18)

**ორლანდო 93:97 ჰიუსტონი**

**ორლანდო:** ჰილი (21), ჰოვარდი (18 ქულა, 16 მოხსნა)

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (34), ალსტონი (20)

**მაიამი 86:81 კლივლენდი**

**მაიამი:** ონილი (19 ქულა, 11 მოხსნა), კაპონო (17 ქულა, 11 მოხსნა), მურნინგი (15)

**კლივლენდი:** ჯეიმსი (29), ჰიუზი (14)

**მინესოტა 98:94 ვაშინგტონი**

**მინესოტა:** დევისი (27), გარნეტი (26 ქულა, 17 მოხსნა)

**ვაშინგტონი:** სტივენსონი (21), არენასი (20)

**გოლდენ სტეიტი 85:102 ლეიკერსი**

**გოლდენ სტეიტი:** ელისი (22)

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (26), ევანსი (26)

**„ფინიქს სანზმა“** „ატლანტა ჰოქსს“ 9 თებერვლის ფინიქსური კრახი არ შეარჩინა და რევანში ატლანტაში აუღო. მაშინ „მზეებს“ ყველაზე კაშკაშა მნათობი სტივ ნეში აკლდათ და ყველასთან აგებდნენ, მაგრამ თავის ლიდერთან ერთად, თავდაჯერება და მეტოქეთა მუსვრის სურვილი დაუბრუნდათ და უნიკალური შედეგისკენ მიიწევენ. საქმე ისაა, რომ დასავლეთის წარმომადგენელ „ფინიქსს“ აღმოსავლეთში ჯერ არ წაუგია, ყველა აქეთურთან თითოჯერ უწევს სტუმრობა და 15 მათგანიდან 13 უკვე დაამარცხა მისსავე მოედანზე (მე-13 სწორედ „ატლანტა“ გახლდათ). ახლა „სანზს“ სამშაბათს ინდიანაში, ოთხშაბათს კი ფილადელფიაში დარჩა აღმოსავლური გასვლები და თუ ორივე მოიგო, რეკორდს დაამყარებს.

ამ გამარჯვებაში ნეშმა 14-ქულიანი და 13-პასიანი წილი დაიდო, ყველაზე სასტიკად კი ატლანტელები ფინიქსელთა ცენტრმა ამარე სტუდემაიერმა დააწიოკა. ამარემ უამრავ მეტოქეს აჰკიდა საჯარიმოები და მათ შორის, ჩვენებურ ზაზა ფაჩულიასაც, რომელმაც 7 წუთში 4 პერსონალური მიიღო და თამაშის უმეტესი დრო იძულებით სკამზე გაატარა.

სტუდემაიერმა კი პირველივე მეოთხედში 18 ქულა მოიხვეჭა და ეს 12-წუთეული 38:24 მოაგებინა. მასპინძელთა სასახელოდ სათქმელია, რომ ისინი არ დანებდნენ და უკვე მეორე მეოთხედში აინაზღაურეს დანაკარგი, მეტოქეს ერთი მონაკვეთი 20:5 აართვეს და ლიდერობაც კი იგდეს ხელთ — 44:43, თუმც ტაიმი მაინც „ფინიქსმა“ მოიგო 7-ქულიანი უპირატესობით.

მესამე მეოთხედის თანაბარ ბრძოლაში კვლავ გაიბრწყინა სტუდემაიერმა, რომელსაც ატლანტელთა ხტუნია ფორვარდმა ჯოშ სმიტმა შეტოქება დაუპირა. მათ ლამაზი ჩატენვები გაცვალეს, მაგრამ თამაში მაინც ფინიქსელისა და „ფინიქსის“ იყო.

„ატლანტას“ რიგებში დებიუტი ჰქონდა „დალასიდან“ გადმოყვანილ ენტონი ჯონსონს, რომელმაც 17 ქულა გაჩარხა და მომავალ თამაშს ალბათ დამწყებ ხუთეულში თავისი მოგვარის ჯო ჯონსონის გვერდით დაიწყებს.

**კოტე ყორშია**

# უსახსრონი და უპოვარნი ქულებს მაინც ითვლიან



ბადრი ქათინელაძის ფოტო

**ქართველმა წყალბურთელებმა, რომელთათვისაც უკრაინის ღია ჩემპიონატი სათამაშო პრაქტიკის მიღების ლამის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს, II ტურის სამივე მატჩი მოიგეს. შინ დაბრუნების მერე გუნდის უფროს მწვრთნელ სოსო მაისურაძეს ვესაუბრეთ**

— ცოდვა გამხელილი ჯობიაო და, არასტანდარტული ზომის აუზში ვარჯიშის მერე არ გვეგონა, თუ „დიდ წყალში" სამივე შეხვედრას მოიგებდით.

— ჩვენ მხოლოდ ეს პრობლემა არ გვაწუხებდა. გუნდში ოთხი ლეგიონერი გვყავდა. ესენი იყვნენ საუდის არაბეთში მოთამაშე გალაქტიონ ლაითაძე, მოსკოვის „მაიაკის" წევრი გიორგი ხვედელიანი, რუსული ჩეხოვოს ახალგაზრდა წყალბურთელი სანდრო რუსიშვილი და გიორგი ცირეკიძე. მართალია, ისინი დანარჩენ თბილისელ წყალბურთელებთან ერთად გაიზარდნენ და ახალგაზრული ნაკრების ღირსებას ერთადვე იცავდნენ, მაგრამ ტურის დაწყებამდე გუნდთან ერთად ერთხელაც არ უვარჯიშიათ. არადა, თავ-თავიანთ კლუბებში ისინი ერთ ადგილზე რომ თამაშობენ, ჩვენთან სულ სხვა ფუნქციის შესრულება უწევთ. ამიტომაც შესათამაშებლად სამი-ოთხი ერთობლივი ვარჯიშის ჩატარება მაინც აუცილებელი იყო, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და გუნდი წევრებმა პირდაპირ უკრაინის ჩემპიონატში მოიყარეს თავი.

— მათ გარდა, ვინ იყვნენ გუნდში?

— მეკარეები ზურაბ ჭუმბურიძე და სანდრო ნამორაძე; მცველები: ბექა ქენქაძე, თამაზ მანველაშვილი, დავით ბაქრაძე; შუახაზელები: ზურაბ რურუა, მიხეილ ბალათურია, გურამ კოტარია, კოკა გიორგაძე; თავდამსხმელები: ილია ბუტიკაშვილი, პავლე ჯაფარიძე და კოტე გეგელაშვილი.

— კი მაგრამ, მათი ასაკი ხომ ახალგაზრდულს გასცდა?

— დიახ, უმრავლესობა გადასცდა, მაგრამ რუსიშვილი, ნამორაძე, ბაქრაძე და გიორგაძე ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან. ამიტომაც უკრაინის ჩემპიონატში ჩვენი გუნდი უკვე ახალგაზრდული კი არა, საქართველოს ნაკრების სახელით გამოდიოდა.

— პირველ შეხვედრაში ხარკოვის „დინამო" მინიმალური ანგარიშით — 12:11 დაამარცხეთ, არადა, ერთი პერიოდი 8:3 იგებდით. მაინც რა მოხდა, როგორ გაფლანგეთ ასეთი უპირატესობა?

— ჩვენი ამბავი ხომ იცით. ბიჭებმა საქმე მოთავებულად ნაადრევად ჩათვალეს. ეს ჩვენი წყალბურთელების ძველი სენია. ამასთან, ეტყობა, მეც შევცდი და ძირითადი მეკარე ჭუმბურიძე სათადარიგო ნამორაძით ნაადრევად, მეორე პერიოდის მერე შევცვალე, რათა სათამაშო პრაქტიკა მასაც მიეღო. ამის მერე მესამე პერიოდი პირწმინდად წავაგეთ და მეტოქემ ოთხი საპასუხო ბურთი გაგვიტანა, თუმცა ანგარიში მაინც ვერ გაათანაბრა. და მაინც, შეხვედრის არც ერთ მონაკვეთში ჩვენი საბოლოო გამარჯვება არავის ეეჭვებოდა. ასეც მოხდა — 12:11 მოვიგეთ.

— უცნაურია, ლვოვის „დინამოსაც" მინიმალური ანგარიშით სძლიეთ, მაგრამ მასაც, როგორც გავიგეთ, მესამე პერიოდამდე ხუთბურთიანი უპირატესობით უგებდით...

— ამ ტურის ჩვენი მეტოქეებიდან ლვოვის „დინამო" ყველაზე ძლიერი იყო. ამიტომ მასთან სათამაშოდ განსაკუთრებით ვემზადებოდით. მით უმეტეს, რომ წინა ტურში ლვოველებმა ხარკოვის „დინამო" 11:4 გაანადგურეს და ეს ყველა ჩვენს წყალბურთელს კარგად ახსოვდა.

სამწუხაროდ, ლვოველებთან შეხვედრის წინ ბაქრაძე ავად გაგვიხდა, სიცხემ აუწია და, ცხადია, გუნდს გამოაკლდა. მიუხედავად ამისა, მეორე ტაიმის მერე უკვე ხუთბურთიანი უპირატესობა გვქონდა. ამის მერე ბუტიკაშვილი მძიმედ დაშავდა, იდაყვი ამოუვარდა და საშინელი ტკივილი ჰქონდა. არადა, პირველ შეხვედრაში მეტოქეს ხუთი ბურთი გაუტანა და რომ არა ტრავმა, იქნებ ლვოველებიც ასევე ან მეტად დაებომბა.

ასე იყო თუ ისე, ბუტიკაშვილიც გამოგვაკლდა. მესამე პერიოდი, ისე, როგორც ხარკოველებთან შეხვედრაში, ჩვენთვის ყველაზე მძიმე აღმოჩნდა. ვერც პენალტით შევაგდეთ ბურთი და ორჯერ ვერც რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება შევძელით. თითქოს ეს ყოველივე არ გვეყოფოდა და ბოლო, მეოთხე პერიოდში ახლა ქენქაძეს და ჯაფარიძეს სამ-სამი პერსონალური გაფრთხილების გამო შეხვედრის ბოლომდე დაატოვებინეს სარბიელი. ამ დროს სათადარიგო სკამზე ერთადერთი, ყველაზე ახალგაზრდა და გამოუცდელი გიორგაძე გვყავდა და იძულებული გავხდი, იგი შეხვედრის ბოლომდე მეთამაშებინა.

საბედნიეროდ, ეს შეხვედრა მაინც მოვიგეთ. ამ მატჩში, ისე, როგორც საერთოდ ამ ტურში, ძალიან კარგად ითამაშა ჭუმბურიძემ, რომელმაც პენალტზე ძნელი მოსაგერიებელი ბურთიც კი აიღო.

— ვიცით, რომ სევასტოპოლის გუნდთან ბეწვზე გადაურჩით წაგებას, თუმცა ისიც მინიმალური სხვაობით მოიგეთ.

— სიცხიანი ბაქრაძე ამ შეხვედრაშიც გვაკლდა, წინა დღით იდაყვამოვარდნილი ბუტიკაშვილი კი ტკივილის გამო თითქმის მატჩის ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე იჯდა. მათ გარეშე ამ შეხვედრამ თავიდან ბოლომდე თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. მატჩის დამთავრებამდე წუთი და 15 წამი რომ რჩებოდა, მეტოქე ერთი ბურთით დაწინაურდა. იძულებული გავხდი, წყალში იდაყვმტკივანი ბუტიკაშვილი ჩამეშვა, ორი ტაიმაუტიც გამოვიყენე და ამან გაამართლა. ჯერ ანგარიში გავათანაბრეთ, მერე კი საფინალო სასტვენამდე 5 წამით ადრე გამარჯვების ბურთიც შევაგდეთ.

ახლა უკრაინის ჩემპიონატს მარიუპოლის პირველი გუნდი 18 ქულით ლიდერობს. ჩვენ და ლვოველები 12-12 ქულით II-III ადგილებს ვიყოფთ. ჩვენი უახლოესი მდევარი, ბელარუსიის ნაკრები 3. ქულით ჩამოგვრჩება.

— გავიგეთ, რომ მოლდოვას ნაკრებმა II ტურის შეხვედრები გამოტოვა.

— მოლდოველებს ამ დღეებში თავიანთ ქვეჯგუფში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ჰქონდათ და იქ იყვნენ.

— კი მაგრამ, თუ შესარჩევი შეხვედრები იყო, ჩვენ და ბელარუსებს უკრაინაში რაღა გვეჩემპიონატებოდა?

— ბელარუსებს, ისე როგორც უკრაინელებს, თავი ქუდში ჰქონდათ, რაკილა მათ საევროპო ბრძოლები მანამდე მოილიეს, ჩვენ კი უსახსრობის გამო ევროპას გამოვაკლდით.

— თუ არჩევანის საშუალება გქონდათ, უკრაინის ჩემპიონატს ევროპისა რატომ შესწირეთ?

— მთელი წლისთვის საქართველოს საწყლოსნო ფედერაციას ოთხი სახეობისთვის 100 000 ლარი გამოუყვეს. აქედან წყალბურთელებს 46 000 გვერგო. ეს თანხა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის საკმარისი არ იყო. ამიტომ ისევ უკრაინის ჩემპიონატში გამოსვლა ვამჯობინეთ. დარჩენილი ფულით ამ ჩემპიონატის III ტურის მატჩებშიღა გამოვალთ, მერე კი რა გვეშველება, წარმოდგენაც არ მაქვს. მით უმეტეს, რომ ჩვენი ფედერაცია მას მერე, რაც მისმა პრეზიდენტმა გიორგი უდესიანმა, რომელიც ძალზე გვეხმარებოდა, პოსტი დატოვა, უპატრონოდ დარჩა. ამას ისიც ემატება, რომ აუზები, მათ შორის საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტისა, სადაც ჩვენ ვემზადებით, თვითდაფინანსებაზე გადადის და წყალბურთელებმაც სავარჯიშო ფული თავადვე უნდა გადაიხადონ. ისინი ისედაც გასამრჯელოს გარეშე, შიშველი ენთუზიაზმით ვარჯიშობენ და ახლა ფულიც აქეთ უნდა იხადონ?

ახლა მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ჩვენს პირველ ქალბატონს, სანდრა რულოვსს უღრმეს მადლობას მოვახსენებ იმისთვის, რომ უკრაინის ჩემპიონატზე გამგზავრების წინ ჩვენთან მოვიდა და ნაკრების წევრებს საჩუქრად ქუდები, ბურთები და ტრენაჟორები გადასცა. იქვე აუზში ჩვენთან ვარჯიშობს მისი 11 წლის ვაჟიშვილი ედუარდ სააკაშვილი და ქალბატონმა სანდრამ არც მისი თანატოლი თანაგუნდელები დატოვა უყურადღებოდ, რომლებიც ასევე ქუდებითა და მათი შესაფერისი ზომის ბურთებით დაასაჩუქრა, რაც მათთვისაც და ჩვენთვისაც დიდი მორალური სტიმული და მატერიალური მხარდაჭერა იყო.

**ავთანდილ ტყვიშელი**





# როდიკის „ჰა ეისმა" ჰაასთან არ გაჭრა

**კაცები**
მემფისი (აშშ). ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 757 000 $

**ფინალი**

**ტომი ჰაასი** (2, გერმანია) — ენდი როდიკი (1, ბრიტანეთი) 6:3 6:2

ზედიზედ მეორე კვირაა, ენდი როდიკს მოქმედ ჩემპიონთან უწევს თამაში. ასე იყო სან ხოსეში, სადაც იანკი-ბოი ნახევარფინალში სენდია მიურეის გადააწყდა და ასე იყო გუშინ გამთენიისას მემფისშიც, სადაც 28 წლის ტომი ჰაასთან მოუწია ურთიერთობების გარკვევა. წინა კვირის დარად როდიკი ამჯერადაც კორტს გააკრეს, თან ძალიან ადვილად და მისთვის სრულიად უშანსოდ.

ჰაასმა უსასტიკესად მიჩოგნა ამერიკელი, თან 10 000 თანამემამულის თვალწინ და ეს ძირითადად უკანა ხაზზე დიდებული თამაშით შეძლო. გერმანელი იგერიებდა მეტოქის ნებისმიერ, უძლიერესად დარტყმულებსაც კი და არა მარტო იგერიებდა, არამედ ქულას ქულაზე „აწებებდა". ამიტომაც იყო, ამ ფინალს საათზე სულ ოდნავ მეტი, მხოლოდ 61 წუთი რომ მოანდომა.

**კაცები**
როტერდამი (ჰოლანდია)
ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 786 250 €

**ფინალი**

**მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (3, ხორვატია) 6:2 6:4

მიხაილ იუჟნიმ შეძლო და ნიკოლაი დავიდენკოს ძლევა ივან ლიუბიჩიჩის ცხვირში ძმრად ამოადინა. მოსკოველმა მთელი კვირა მშვენივრად იჩოგნავა და დამსახურებულადაც იმარჯვა.

ბალკანელს ვერც იმან უშველა, რომ ფაქტობრივად მთელი დარბაზი მის მხარეს იყო — იმიტომ კი არა, რომ როტერდამში იუჟნი არ უყვართ. უბრალოდ, მატჩის წინ ხორვატმა თქვა, თუ მოვიგებ, ყველას სასმელით გავუმასპინძლდებიო.

საბოლოოდ დარბაზში შეკრებილებმა ხორვატიული მასპინძლობა ვერ გამოცადეს, ლიუბიჩიჩი კი წლეულს მეორე ტიტულს ვერ ეღირსა. ეს იმიტომ, რომ კვირას რატომღაც დუმდა ხორვატიული არტილერია — ლიუბიჩიჩს არაფრით წაუვიდა მოწოდება, რამაც იუჟნის თავისთავად ძალიან გაუადვილა თამაში. რუსმა პირველ სეტში ორი ბრეიკი გააკეთა, მეორე პარტიაში კი მეხუთე გეიმში იყოჩაღა, მშვიდად მიიყვანა მატჩი გამარჯვებამდე და უკანასკნელ სამ წელიწადში პირველ ტურნირზე იმარჯვა.

**ქახა ლომაშვილი**

**კაცები**
ბუენოს აირესი (არგენტინა)
თიხა. საპრიზო 445 000 $

**ფინალი**

**ხუან მონაკო** (არგენტინა) — ალესიო დი მაურო (იტალია) 6:1 6:2

**ქალები**
ბოგოტა (კოლუმბია). თიხნარი
საპრიზო ფონდი 175 000 $

**ფინალი**

**რობერტა ვინჩი** (6, იტალია) — ტატიანა გარბინი (1, იტალია) 6:7 6:4 3:0 (უარი)

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდ „ბურევესტნიკის" ვეტერანი ქალი კალათბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სპორტის ოსტატი

**ვენერა მჭედლიძე**

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტის ოსტატი

**ვენერა მჭედლიძე**

და თანუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

# პირველი პირველებში

## ფედერერმა რეკორდი არავის შეარჩინა




კიდევ ერთი! როჯერ ფედერერმა მორიგ რეკორდს უკვე ოფიციალურად უავტორა — დიადი ალპელი აგერ უკვე 161 კვირაა, რეიტინგსიის პირველი საფეხურზე უძრავად დგას. კლასიფიკაციის შემოღების დღიდან, ანუ 1973 წლის აგვისტოდან, ეს საუკეთესო შედეგია. აქამდე რეკორდი ჯიმი კონორსს ეკუთვნოდა. ამერიკელი 1974 წლის 29 ივლისიდან 1977 წლის 22 აგვისტომდე შეუცვლელად ლიდერობდა რეიტინგსიას. ეს რეკორდი კარგა ხანს სამუდამოდაც მიაჩნდათ და 30 წელსაც გასტანა, მაგრამ „მხიარულმა როჯერმა“ ეს მიღწევაც დაამხო.

„მართლაც საოცარია, ამას ხომ დიდი შრომა და წვალება დასჭირდა, რის გამოც კიდევ უფრო ძვირფასია ჩემთვის. მგონი, ამ რეკორდმა ცოტა ხანს მაინც უნდა გაძლოს“ — ჩვეულად მოკრძალებულია ფედერერი.

ამ ორი დიდი ჩოგბურთელის გარდა გამორჩეული შედეგები ჰქონდათ ივან ლენდლსა და პიტ სამპრასს. ლენდლი ზედიზედ 157 (1985 წლის 9 სექტემბრიდან 1988 წლის 11 სექტემბრამდე), სამპრასი კი 102 კვირის (1996 წლის 15 მარტიდან 1998 29 მარტამდე) განმავლობაში ლიდერობდნენ რეიტინგს.

თვითონ შვეიცარიელი პირველად უმაღლეს საფეხურზე 2004 წლის 1 თებერვალს შედგა. იქიდან მოყოლებული, ფედერერმა 247 მატჩი მოიგო და მხოლოდ 15 წააგო (ჩატარებული მატჩების მოგების 94,3 პროცენტიანი მაჩვენებლით), 49 ტურნირში ითამაშა, რომელთაგან 34-ში იმარჯვა. ამათგან 8 სლემტურნირი იყო. ერთადერთი წაგებული სასლემო ფინალი ალპელისთვის შრომანდელი „როლან გაროსია“, სადაც ის რაფაელ ნადალთან დამარცხდა.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ იმ სამი წლის განმავლობაში, რაც ფედერერი რეიტინგის სათავეში ყელყელაობს, მის პირველობას თითქმის არავინ დამუქრებია. მხოლოდ ერთხელ, 2004 წელს თუ მიუახლოვდა ენდი როდიკი შვეიცარიელ პირველკაცს:

„მაშინ როდიკთან უიმბლდონის ფინალი უნდა მეთამაშა და რომ წამეგო, ენდის ჩემი გადასწრების მშვენიერი შანსი ექნებოდა“ — იხსენებს ფედერერი.

როდიკმა ვერც იმ ფინალის მოგება შეძლო და ფედერერსაც ვერ გაეკარა ახლოს. აი, „მხიარული როჯერი“ კი მას შემდეგ მხოლოდ და მხოლოდ უმატებს და ძალა გაცილებით [illegible] რთელია, რომელიც თითქმის უხადოდ [illegible] ერი დამარცხება სეზონის მოვლენად იქცევა ხოლმე. ამ პერიოდში მხოლოდ ერთი რაფაელ ნადალია, შვეიცარიელს პრობლემებს რომ უქმნის — ესპანელი ხომ ერთადერთია, ვისთანაც 2004 წლის შემდეგ ფედერერს ერთზე მეტად წაუგია. ეგ კი არა, 9 ურთიერთშეხვედრიდან 6 მალიორკელი ვარსკვლავბიჭუნას სასარგებლოდ დასრულდა.

ყველაფრის მიუხედავად, ფედერერს რეიტინგში პირველობას ნადალიც ვერ ეცილება. მეტიც, შვეიცარიელი თითქმის ორნახევარჯერ უსწრებს თავის უახლოეს მდევარ ესპანელს — „მხიარულ როჯერს“ 8 120 ქულა აქვს, ნადალს კი მხოლოდ 3 415, რაც იმას ნიშნავს, რომ ფედერერის პირველი საფეხურიდან ჩამომგდები კარგა ხანს არავინ იქნება და შესაბამისად, ეს რეკორდიც გაიზრდება.

რაც შეეხება მთლიანად კარიერის განმავლობაში რეიტინგის სათავეში გატარებული კვირების ოდენობას, აქ ფედერერი ჯერჯერობით მხოლოდ მეხუთე ადგილზეა თავისი 161 კვირით. ამ მხრივ საუკეთესო კი პიტ სამპრასია, რომელიც 286 კვირა იყო პირველი ნომერი. ფედერერს ასევე უსწრებენ ივან ლენდლი (270), ჯიმი კონორსი (268) და ჯონ მაკინროი (170).

**ქახა ლომაშვილი**



ანა ტატიშვილი

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**ანა ტატიშვილს** კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში გამართული „კოპა კოლსანიტასის“ სარეიტინგო ტურნირის საკვალიფიკაციო ბარიერის დაძლევა დაუფასდა და გუშინ გამოქვეყნებულ რეიტინგებში 23 ადგილით წინ წაიწია — 84,75 ქულით ანა 270-ე ადგილზე იმყოფება.

ტატიშვილზე წინ ქართველ ქალთაგან კვლავაც მხოლოდ მაკა ჩახნაშვილია, რომელმაც ერთი პოზიცია დაკარგა და 212,5 ქულით 144-ე ადგილზე ჩაინაცვლა.

ორი ნაბიჯით უკან დაიხია და 58,5 ქულით 340-ე საფეხურზეა სოფო მელიქიშვილი. სამაგიეროდ, სალომე დევიძემ მოიგო ორი ადგილი და ახლა 25,5 ქულით 536-ეა. ერთით დაბლა, 682-ე საფეხურზე ჩაინაცვლა სოფო შაფათავამ, ვისაც 15,25 ქულა აქვს; ეკა გორგოძემ 12 ქულით ოთხით მაღლა, 763-ე პოზიციაზე აიწია; მანანა შაფაქიძემ ორი ნაბიჯი წინ გადადგა და 8,25 ქულით 887 ადგილს უწია.

წინ წაიწიეს ათასეულს მიღმა მყოფმა ჩვენებურებმაც. თეონა ცერცვაძე (+6) 5,25 ქულით 1093-ე ადგილზეა, ხოლო მარიამ ქურდაძეს (+12), ვისაც 2,75 ქულა აქვს, 1338-ე პოზიცია უკავია.

კაცთა რეიტინგში კვლავაც ორი ჩვენებურია. ირაკლი ლაბაძე, 239 სარეიტინგო ქულით 172-ე ადგილზე დარჩა, ხოლო ლადო ჩიხლაძემ 17 პოზიცია დაკარგა და 42 ქულით 562-ე საფეხურზე ჩაინაცვლა.

# კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 8120 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 4705 |
| 3. ენდი როდიკი (აშშ) | 2830 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2825 |
| 5. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2685 |
| 6. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2605 |
| 7. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2555 |
| 8. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 2395 |
| 9. ტომი ჰაასი (გერმანია) | 2020 |
| 10. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1995 |
| 11. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 1975 |
| 12. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1785 |
| 13. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1700 |
| 14. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 1665 |
| 15. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1645 |
| 16. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1590 |
| 17. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1465 |
| 18. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1440 |
| 19. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 1300 |
| 20. დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) | 1230 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 200 |
| 2-3. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 148 |
| 2-3. ტომი ჰაასი (გერმანია) | 148 |
| 4. ენდი როდიკი (აშშ) | 140 |
| 5. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 122 |
| 6. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 110 |
| 7. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 102 |
| 8. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 97 |
| 9. მარდი ფიში (აშშ) | 95 |
| 10. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 92 |
| 11. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 90 |
| 12. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 87 |
| 13. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 86 |
| 14. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 80 |
| 15. ქსავიე მალისი (ბელგია) | 71 |
| 16. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 65 |
| 17. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 63 |
| 18. ხუან მონაკო (არგენტინა) | 53 |
| 19. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 46 |
| 20 ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 45 |

# ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3824 |
| 2. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 3516 |
| 3. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3070 |
| 4. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 2630 |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2595 |
| 6. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 2379 |
| 7. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2265 |
| 8. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1869 |
| 9. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1742 |
| 10. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1724 |
| 11. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1650 |
| 12. დინარა საფინა (რუსეთი) | 1569 |
| 13. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1531 |
| 14. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1463 |
| 15. სერენა უილიამსი (აშშ) | 1269 |
| 16. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1214 |
| 17. ნა ლი (ჩინეთი) | 1150 |
| 18. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1032 |
| 19. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1007 |
| 20. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 942 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1030 |
| 2. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 915 |
| 3. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 895 |
| 4. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 856 |
| 5. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 825 |
| 6. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 695 |
| 7. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 610 |
| 8. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 565 |
| 9. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 560 |
| 10. შაჰარ პირი (ისრაელი) | 486 |
| 11. ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) | 455 |
| 12. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 436 |
| 13. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 425 |
| 14-15. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 371 |
| 14-15. დინარა საფინა (რუსეთი) | 371 |
| 16. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 351 |
| 17. ნა ლი (ჩინეთი) | 346 |
| 18. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 320 |
| 19. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 286 |
| 20. რობერტა ვინჩი (იტალია) | 281 |

## კალიფორნიელი

„დისქავერი ჩენელის“ ამერიკელი მრბოლის ლევი ლეიფჰემერის გამარჯვებით დასრულდა ერთკვირიანი „კალიფორნიის ტური“. ამერიკის შეერთებული შტატების მიწაზე ეს რბოლა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია და ლეიფჰემერმა ლიდერობა პირველივე დღეს, პროლოგის მოგებით იგდო ხელთ.

ამის შემდეგ ლევიმ ლიდერის სარგო ყვითელი მაისურა ეგრეც ალარავის დაუთმო და საბოლოო ჯამში, მეორე ადგილზე გასულ გერმანელ იენს ფოიგტს 21 წამით აჯობა.

## პეტაკის ჰეთ თრიკი

პორტუგალიაში რიგით 33-ე „ვოლტა აუ ალგარვე“ მიმდინარეობს და ამ ერთკვირიანი რბოლის მთავარი კაცი იტალიელი ალესანდრო პეტაკია. „მილრამის“ მრბოლმა, ვინც ფინიშის დიდოსტატად არის ცნობილი, მიყოლებით მოიგო სამი ეტაპი და ხუთი ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლაშიც ლიდერობს — 2 წამს უგებს ავსტრიელ ჰასელბახერს.

## ყველგან ბოსი

სატრეკო ველორბოლის ჰოლანდიელი დიდოსტატი თეო ბოსი აგრძელებს მსოფლიოს რეკორდების დამყარებას. თეოსთვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა სიგრძის არის ტრეკი — ბოლო 200 მეტრზე ის ფანტასტიკურ სიჩქარეს ავითარებს.

ასე იყო შარშან დეკემბერში, როდესაც ბოსმა მოსკოვში, კრილატსკოეს 333 მეტრიან ტრეკზე მსოფლიოს აბსოლიტური რეკორდი დაამყარა. ასე იყო ამ ცოტა ხნის წინათ ჰოლანდიაშიც, სადაც თეომ 200 მეტრზე ნაკლები სიგრძის ტრეკების მიღწევა გაუმჯობესა და ასე მოხდა კვირას მანჩესტერშიც, სადაც მსოფლიოს თასი მიმდინარეობს იქაურ, კლასიკურად წოდებულ 250-მეტრიან ტრეკზე და ამ ჯერზე ბოსმა სწორედ ამ სიგრძის ტრეკების რეკორდი განაახლა — ბოლო ორასი მეტრი 10,058 წამში გაიქროლა.



# წავედი!

## ულრიხმა რიხი დაკარგა

**თანამედროვე** ველოსპორტის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა სახემ იან ულრიხმა ხელის ერთი მოსმით გადაჭრა ამ ბოლო დროს მიძალებული ყველა პრობლემა — ჰამბურგში პრესკონფერენცია მოიწვია და ყველას გასაგონ-დასანახად თქვა, აქტიური სპორტიდან წავედიო.

გერმანელმა მრბოლმა ვერა და ვერ დააღწია თავი 2006 წლის ზაფხულის შემდეგ შემოჯარულ დოპინგსკანდალებს. მას უცნობილესი ესპანელი მედოპინგე ექიმის ეუფემიანო ფუენტესის სიახლოვეს ტრიალში ადანაშაულებდნენ. შემდეგ პროფესიონალი მრბოლის ლიცენზიის განახლების დროსაც შექმნა პრობლემები. ყველგან დასდევდნენ ჟურნალისტები... მოკლედ, ულრიხმა ვერა და ვერ მოახერხა რკინის რაშზე ამხედრება. იძახდა, ეს კამპანია ჟურნალისტებმა მომიწყვესო. და აი, ის „საყვარელი“ ჟურნალისტებს უკანასკნელად წარდგა პროფესიონალი მრბოლის სტატუსით.

მაგრამ ულრიხი კვლავ დიდ გზაზე რჩება. ამბობს, სხვა საქმეში ჩემი თავი ვერ წარმომიდგენიაო — „ვერ ვიცხოვრებ ველოსპორტის გარეშე. ესაა ჩემი ვნება და ცხოვრება.“ სავარაუდოდ ის გუნდ „ფოლკსბანკში“ დაიწყებს მუშაობას მრბოლთა მრჩევლად, მედიაწარმომადგენლად ან სულაც სპორტულ დირექტორად, რაც ამ სპორტში პრაქტიკულად მწვრთნელობას ნიშნავს.

იან ულრიხს არაერთი ტიტული მიაქვს სპორტიდან. ის გახლავთ მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიური ჩემპიონი, მრავალდღიანი დიდი ველოტურებიდან კი 1999 წელს მოიგო ესპანური ვუელტა, 1997 წელს კი უპრესტიჟულესი ტურ დე ფრანსი. საყოველთაო აზრით, ულრიხს ბევრად მეტის მიღწევა შეეძლო, თუნდაც ტურ დე ფრანსზე, რომლის მოგებაც ველორბოლაში ყველა სხვა ტიტულზე მეტად ფასობს. ტურზე ულრიხი ხუთჯერ გავიდა მეორე ადგილზე, ერთთავად ორიოდ ნაბიჯი აკლდებოდა ჩემპიონობამდე. 2005 წელს თვის უკანასკნელ ტურზე ულრიხმა ლენს არმსტრონგის და ივან ბასოს შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა, მერე კი კარიერაც აეწეწა.

**კოტე ყორშია**




# სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: “წიგნის სახლი” (გამსახურდიას 31);“სამშობლო” (ყაზბეგის 4); “ლიბრა” (კერესელიძის 12, “მეგალაინი”); “სანტა ესპერანსა” (სანქტ-პეტერბურგის 12); “მერანი” (რუსთაველის 42); “აისი” (ალმაშენებლის 89); “საუნჯე” (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844




## შვედური დუელი




კვირას გიოტებორგში შვედმა მძლეოსნებმა ქვეყნის ჭერქვეშა პირველობა დაასრულეს და ამ შეჯიბრის მშვენებად სიმაღლეზე მხტომელების — სტეფან ჰოლმისა და ლინუს ტორნბლანდის დუელი იქცა.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჰოლმმა და ტორნბლადმა შეჯიბრი 218 სანტიმეტრი სიმაღლით დაიწყეს და 230 სანტიმეტრამდე ყოველგვარი პრობლემების გარეშე უწიეს. აქ კი ტორნბლადს გაუჭირდა, მაგრამ მესამე ცდით მაინც აიღო ეს სიმაღლე და მერე გაგრძელდა: 232, 234, 236, 238 — მეტოქეები მიყოლებით უმატებდნენ და როდესაც ჯერი 240 სანტიმეტრზე მიდგა, ორივეს ჰქონდა ამ სიმაღლის დაძლევის შანსი, მაგრამ ამ ჯერზე არ გამოვიდა.

ჩემპიონი ცდების ნაკლები ოდენობის წყალობით ჰოლმი გახდა, ვინც ამ ზამთარს მშვენიერ ფორმაშია და თანდათან ზრდის სიმაღლეს.

## ოლსონმა ევროპა იუარა

მეორე სახელოვანი შვედი მხტომელი, ოღონდაც სამხტომის დიდოსტატი, ოლიმპიური ჩემპიონი კრისტიან ოლსონი ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონატს გამოტოვებს.

ეს პირველობა 2-4 მარტს ინგლისში, ბირმინგემის დარბაზში გაიმართება. როგორც ოლსონის მწვრთნელმა იანიკ ტრეგარომ განაცხადა, სპორტსმენს მარცხენა ბეჭის მსუბუქი ტრავმა აქვს და ბირმინგემში ამ მიზეზით არ წავა. თუმცა, ტრავმა არც ისე სერიოზულია, რომ ოლსონს ზაფხულის სეზონისთვის მზადებაში შეუშალოს ხელი.

## რედკლიფი ბრუნდება

ორი თვის წინათ ქალთა შორის მარათონში მსოფლიოს რეკორდსმენს, ბრიტანელ პოლა რედკლიფს ქალიშვილი შეეძინა და აი, როგორც AP იტყობინება, მშობიარობის შემდეგ პოლა უკვე შეუდგა სრულფასოვან ვარჯიშს და ფიქრობს, რომ აგვისტოში, იაპონურ ოსაკაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება.

ოღონდაც, რედკლიფს ჯერ არ გადაუწყვეტია, ოსაკაში რომელ დისტანციას მიანიჭებს უპირატესობას — მარათონს, თუ სტადიონზე 10 000 მეტრზე რბენას.



### მორელია-ლინარესის სუპერტურნირი

მექსიკა-ესპანეთი. 16 თებერვალი - 11 მარტი

VII ტური

| | | |
|---|---|---|
| პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 0,5:0,5 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 1:0 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0:1 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 1:0 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |

# მორელია დასრულდა. წინ ლინარესია




**მორელიაში** სუპერტურნირის პირველი წრე დასრულდა და მეორე პარასკევს ესპანურ ლინარესში დაიწყება.

როგორც იქნა, მეშვიდე ტურში მოიგო ფიდეს პირველმა ნომერმა ვესელინ ტოპალოვმა. ბულგარელმა თავისნაირ აუტსაიდერ ალექსანდრ მოროზევიჩს სძლია და ბოლო ადგილს თავი დააღწია. ერთპიროვნული ლიდერობა დაკარგა 16 წლის მაგნუს კარლსენმა. პატარა ვიკინგმა პიოტრ სვიდლერს გაუყო ქულა და გვერდზე ვიშვანათან ანანდი მოისვა.

ინდუსმა პეტერ ლეკოსთან კატალონიური დებიუტი გაითამაშა და ლაზიერის ფლანგიდან პაიკით შეუტია. ანანდმა ცენტრში მხედრები გამოიყვანა, დედოფლის ფლანგიდან პაიკები აამუშავა და უნგრელს მიაწვა. საპასუხოდ ლეკომაც დაქოქა მძიმე ტექნიკა, ინდუსის მოიერიშე ლაშქრისკენ მიმართა და დიდი წინააღმდეგობა დაახვედრა. ანანდმა მანევრებს მიმართა, 32-ე სვლაზე პაიკს გამორჩა და იერიშები გააძლიერა. შავებმა ლაზიერის ფლანგიდან პაიკები გააქტიურეს, სათამაშო უპირატესობას დაეუფლნენ და 41-ე სვლაზე ქულა აიღეს.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | მაგნუს კარლსენი | 4,5 |
| 2. | ვიშვანათან ანანდი | 4,5 |
| 3. | ვასილ ივანჩუკი | 4,0 |
| 4. | ლევონ არონიანი | 3,5 |
| 5. | პიოტრ სვიდლერი | 3,5 |
| 6. | პეტერ ლეკო | 3,0 |
| 7. | ვესელინ ტოპალოვი | 3,0 |
| 8. | ალექსანდრ მოროზევიჩი | 2,0 |

# ავსტრიული კვირა

**ესპანურ** სიერა ნევადაში, სადაც კვირას ქალთა მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი დასრულდა, ავსტრიელმა მარლიზ შილდმა სეზონში მეექვსე სლალომი მოიგო. ამ გამარჯვებით მარლიზმა გენერალურ კლასიფიკაციის სათავეში ჩაუდგა და სლალომის ჩათვლაში გამარჯვებულის ჯარგო მცირე ბროლის გლობუსი ნაადრევად დაიბევა.

სლალომის საერთო ჩათვლაში შილდს 660 ქულა აქვს, მეორე ადგილზე მყოფ ხორვატ ანა იელუშიჩს 332 და იმის გათვალისწინებით, რომ ეტაპის მოგება 100 ქულა ღირს და სეზონის ფინიშამდე ორი სლალომიღა დარჩა, შილდის პირველობა არანაირ ეჭვს აღარ იწვევს.

სიერა ნევადაში ავსტრიელს კონკურენცია ფინელმა ტანია პოუტიაინენმა გაუწია. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, შილდმა პირველი ცდა უზარმაზარი უპირატესობით მოიგო და და მეორე დაშვებისას აღარ გარისკა. ამ დროისთვის პოუტიაინენს ჰქონდა საუკეთესო შედეგი ბრწყინვალე მეორე ცდის წყალობით, მაგრამ შილდის საბოლოო გამარჯვებას წყალი არანაირად არ შეუდგომია.

გერმანულ გარმიშ-პარტენკირხენში, სადაც კაცთა ეტაპი ჩატარდა, კვირას აგრეთვე სლალომის დღე იყო და აგრეთვე ავსტრიელის, ახლახანს დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფატორის მარიო მატის გამარჯვებით დასრულდა. თანაც, შილდის არ იყოს, მატმაც პირველივე დაშვებისას მოიპოვა გადამწყვეტი უპირატესობა, როდესაც უახლოესი მდევარი, გერმანელი ფელიქს ნოიროითერი 0,54 წამით ჩამოიტოვა.

ამ ეტაპის შემდეგ არნახულად დაიძაბა სიტუაცია როგორც გენერალურ კლასიფიკაციაში, ისე სლალომის საერთო ჩათვლაში. სლალომისტთა შორის წინ, ჯერჯერობით კვლავაც შვედი იენს ბიგმარკია, მაგრამ ავსტრიელები — გარმიშში მესამე ადგილზე გასული ბენჯამინ რაიხი და მატი ლიდერს სულ მცირედით, შესაბამისად 20 და 25 ქულითღა ჩამორჩებიან.

რაც შეეხება გენერალურ კლასიფიკაციას, აქ პირველობას ნორვეგიელი აქსელ ლუნდ სვინდალი ინარჩუნებს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატს ორი ოქროს შემდეგ სვინდალი აშკარად ამოვარდა რიტმიდან და მისი უპირატესობა თვალსა დახელს შუა ილევა — ნორვეგიელი რაიხს, ვინც მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელია, 53 ქულასღა უგებს.

## კაცები

გარმიშ-პარტენკირხენი (გერმანია)

| სლალომი | |
|---|---|
| 1. მარიო მატი (ავსტრია) | 1წთ.35,66წ. (46,15+49,51) |
| 2. ფელიქს ნოიროითერი (გერმანია) | 1.36,07 (46,69+49,38) |
| 3. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 1.36,97 (47,60+49,37) |
| 4. მაიკლ იანიკი (კანადა) | 1.37,07 (47,06+50,01) |
| 5. მანფრედ მოელგი (იტალია) | 1.37,23 (46,95+50,28) |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 818 ქულა |
| 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 765 |
| 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 748 |
| 4. ბოდე მილერი (აშშ) | 643 |
| 5. პეტერ ფილი (იტალია) | 589 |

## ქალები

სიერა ნევადა (ესპანეთი)

| სლალომი | |
|---|---|
| 1. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 1.43,61 (50,84+52,77) |
| 2. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 1.43,93 (52,92+51,81) |
| 3. ვერონიკა ზუზულოვა (სლოვაკეთი) | 1.44,54 (51,76+52,78) |
| 4. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 1.44,55 (52,96+51,59) |
| 5. ანა იელუშიჩი (ხორვატია) | 1.44,75 (52,19+52,56) |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 1052 ქულა |
| 2. რენატე გოტშლი (ავსტრია) | 1019 |
| 3. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 989 |
| 4. ჯულია მანკუზო (აშშ) | 959 |
| 5. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 808 |



# მსოფლიოს ჩემპიონატი

## საპორო. იაპონია. 22 თებერვალი – 4 მარტი

# იაპონია ბრინჯაოთი დაფასდა



AFP საბოლოო

ავტრიელთა ოქროს ოთხეული

**იაპონიის** ყველაზე ჩრდილოეთი კუნძულის ჰოკაიდოს მთავარქალაქ საპოროში ბარის მოთხილამურეთა, ტრამპლინიდან მხტომელთა და ორჭიდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი გრძელდება.

გუშინ ჩემპიონატის პროგრამაში ერთადერთი სახეობა იყო — დიდ ტრამპლინზე გუნდური შეჯიბრი და ისევე, როგორც ერთი წლის წინ ტურინის ოლიმპიურ თამაშებზე, ოქროს მედლები ავსტრიელებმა მოიპოვეს.

ვოლფგანგ ლოიტცლის, გრეგორ შლირენცაუერის, ანდრეას კოფლერისა და ტომაშ მორგენშტერნის ოთხეულმა პირველივე ცდის შემდეგ იგდო ხელთ ლიდერობა და მერე უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა.

ავსტრიელებმა კონკურენტებს სტაბილური და ხარისხიანი ნახტომებით აჯობეს, თორემ ხტომების სიშორით სხვებმა უფრო გამოიჩინეს თავი — ყველაზე შორს დიდ ტრამპლინზე პირადი პირველობის პრიზიორები, შვეიცარიელი სიმონ ამანი, ფინელი ჰარი ოლი და ნორვეგიელი როარ ლიოკელსოი გადახტნენ, მაგრამ ამათმა თანაგუნდელებმა, თითო ნახტომი, პრაქტიკულად ყველამ ჩააგდო და ავსტრიელებმა უპრობლემოდ ირგუნეს ოქროს მედლები.

მეორე ადგილზე ნორვეგიელები გავიდნენ, ხოლო ბრინჯაოს მედლები, აურაცხელ დიდ ტრამპლინთან შეკრებილი პუბლიკის გასახარად, იაპონელებმა მოიპოვეს. შოჰეი ტოჩიმოტოს, ტაკანობუ ოკაბეს, დაიკი იტოსა და ნორიაკი კასაის კვარტეტმა მეოთხე ადგილზე გასულ ფინელებს გვარიანი სხვაობით აჯობა და 2003 წლის შემდეგ იაპონიას პირველი მსოფლიო მედალი მოუტანა.

## ტრამპლინიდან ხტომა

| HS 134. გუნდური | |
|---|---|
| 1. ავსტრია (ლოიტცლი, შლირენცაუერი, კოფლერი, მორგენშტერნი) | 1000,2 ქულა |
| 2. ნორვეგია (ჰილდე, ბარდალი, იაკობსენი, ლიოკელსოი) | 953,3 |
| 3. იაპონია (ტოჩიმოტო, ოკაბე, იტო, კასაი) | 905,9 |
| 4. ფინეთი (ლაპი, ჰაუტამაეკი, ოლი, აჰონენი) | 869,8 |
| 5. პოლონეთი (შტოხი, ზულა, მატეჯა, მალიში) | 857,2 |



# NHL რეგულარული ჩემპიონატი

25 თებერვალი

**ვაშინგტონი 2:3 ნიუ ჯერსი**

*1:0 0:1 1:2*

1:0 ლაიხი (17), 1:1 პარიზე (26), 1:2 ზეიდუაკი (42), 2:2 ოვეჩკინი (50), 2:3 ლანგენბრუნერი (51)

**მინესოტა 4:1 ედმონტონი**

*1:0 1:0 2:1*

1:0 უაიტი (19), 2:0 ბერნსი (39), 2:1 პიზანი (47), 3:1 გაბორიკი (48), 4:1 ბუშარი (60)

**ჩიკაგო 5:1 სენტ ლუისი**

*3:0 1:1 1:0*

1:0 კეიტი (7), 2:0 ოკუანი (9), 3:0 სმოლინსკი (14), 3:1 სტემპნიაკი (39), 4:1 ჰავლატი (39), 5:1 შარპი (57)

**დალასი 2:1 ვანკუვერი**

*0:0 0:1 1:0 1:0 (ოვერტაიმი)*

0:1 პაიეტი (31), 1:1 ბუშე (60), 2:1 ლეჰტინენი (65)

**ტამპა 5:1 პიტსბურგი**

*2:0 1:1 2:0*

1:0 სენ ლუი (3), 2:0 [illegible] (4), 3:0 [illegible] (25), 3:1 [illegible] (29), 4:1 [illegible]რდსი (42), 5:1 ლეკავალიე (55)

**კოლუმბუსი 3:4 ნეშვილი**

*0:1 1:2 2:0 0:0 (0:1 ბულიტები)*

0:1 კარია (7), 1:1 მოდინი (22), 1:2 დიუმონი (23), 1:3 ფიდლერი (25), 2:3 შელი (45), 3:3 ჰეინსი (51)

**ანაჰაიმი 5:3 კოლორადო**

*2:1 1:1 2:1*

1:0 მაკდონალდი (10), 2:0 მაკდონალდი (15), 2:1 რაიკფორტი (19), 2:2 საკიკი (25), 3:2 სელიანე (40), 3:3 ჰეიდუკი (55), 4:3 ს. ნიდერმაიერი (57), 5:3 პრონგერი (58)



ტამპელი კორი სარიჩი (მარჯვნივ) და პიტსბურგელი რაიან მელოუნი ხელდახელ შეიბნენ

## ლიგის ლიდერები

ბომბარდირები: სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 97 (26+71); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 85 (38+47); ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 84 (41+43); მარკ სავარი (ბოსტონი) 82 (21+61); მარიან ჰოსა (ატლანტა) 79 (35+44); დენი ჰითლი (ოტავა) 79 (36+43); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 78 (16+62); დანიელ ბრიარი (ბუფალო) 77 (27+50); ჯო საკიკი (კოლორადო) 75 (27+48); ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 74 (35+39); ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი) 74 (37+37); იარომირ იაგრი (რეინჯერსი) 74 (22+52); რეი უიტნი (კაროლინა) 72 (27+45); ჯერომ იგინლა (კალგარი) 71 (30+41)

გოლიადორები: ლეკავალიე 41; სენ ლუი 38; სელიანე 37; ჰითლი 36; ჰოსა, ოვეჩკინი 35-35; სიმონ განიე (ფილადელფია) 34; ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი), კრის დრური (ბუფალო), ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 33-33; ალექსანდრ ფროლოვი (ლოს ანჯელესი), ალექსანდრ სიომინი (ვაშინგტონი), ტომაშ ვანეკი (ბუფალო) 32-32; რაიან სმითი (ედმონტონი), ჯასტინ უილიამსი (კაროლინა) 31-31; იგინლა 30

ასისტენტები: კროსბი 71; ტორნტონი 62; სავარი 61; იაგრი 52; ბრიარი, ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი) 50-50; როდ ბრინდამორი (კაროლინა) 49; საკიკი 48; სენ ლუი 47; მაიკლ ნიულანდერი (რეინჯერსი) 26; უიტნი 45

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 39; ტომ პრეისინგი (ოტავა), ვანეკი 33-33; დევიდ ლეგვანდი (ნეშვილი) 32, ზეტერბერგი, დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 26-26; რომან ჰამრლიკი (კალგარი) 24; კრის პრონგერი (ანაჰაიმი) 23; კრის კელი (ოტავა), ჰითლი 22-22

### აღმოსავლეთ კონფერენცია

| ატლანტიკი | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 63 | 39 | 18 | 6 | 170:149 | 84 |
| პიტსბურგი | 61 | 33 | 19 | 9 | 211:193 | 75 |
| აილენდერსი | 62 | 31 | 23 | 8 | 183:174 | 70 |
| რეინჯერსი | 62 | 29 | 27 | 6 | 180:178 | 64 |
| ფილადელფია | 62 | 16 | 37 | 9 | 161:135 | 41 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ბუფალო | 62 | 41 | 16 | 5 | 234:182 | 87 |
| ოტავა | 62 | 36 | 22 | 4 | 215:171 | 76 |
| მონრეალი | 64 | 32 | 26 | 6 | 186:192 | 70 |
| ტორონტო | 62 | 30 | 23 | 9 | 198:200 | 69 |
| ბოსტონი | 61 | 30 | 27 | 4 | 178:221 | 64 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ტამპა | 64 | 36 | 25 | 3 | 206:196 | 75 |
| ატლანტა | 64 | 31 | 23 | 10 | 193:204 | 72 |
| კაროლინა | 64 | 32 | 25 | 7 | 193:198 | 71 |
| ფლორიდა | 63 | 24 | 26 | 13 | 180:202 | 61 |
| ვაშინგტონი | 63 | 24 | 29 | 10 | 188:219 | 58 |

### დასავლეთ კონფერენცია

| ცენტრალური | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნეშვილი | 64 | 42 | 18 | 4 | 219:164 | 88 |
| დეტროიტი | 63 | 39 | 16 | 8 | 195:135 | 86 |
| სენტ ლუისი | 62 | 26 | 27 | 9 | 161:190 | 61 |
| ჩიკაგო | 62 | 23 | 30 | 9 | 154:186 | 55 |
| კოლუმბუსი | 63 | 24 | 32 | 7 | 156:197 | 55 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ვანკუვერი | 62 | 36 | 21 | 5 | 164:156 | 77 |
| მინესოტა | 63 | 35 | 23 | 5 | 181:161 | 75 |
| კალგარი | 62 | 32 | 21 | 9 | 200:169 | 73 |
| ედმონტონი | 63 | 30 | 27 | 6 | 172:182 | 66 |
| კოლორადო | 63 | 29 | 29 | 5 | 205:205 | 63 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| ანაჰაიმი | 63 | 36 | 17 | 10 | 201:165 | 82 |
| დალასი | 61 | 37 | 21 | 3 | 165:146 | 77 |
| სან ხოსე | 62 | 38 | 23 | 1 | 187:159 | 77 |
| ფინიქსი | 61 | 26 | 32 | 3 | 163:209 | 55 |
| ლოს ანჯელესი | 63 | 21 | 32 | 10 | 178:219 | 52 |

*თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები*



# მარია კალათბურთზე

მოცალეობის ჟამს მარია შარაპოვა კალათბურთის ცქერით ერთობა. აი, დასტურიც: რუსი მეჩოგნე ლოს ანჯელესში „ლეიკერსისა“ და „ბოსტონ სელტიკსის“ მატჩს აკვირდება და როგორც ფოტოდან ჩანს — გულმოდგინედაც. ფოტოზევე შენიშნავთ, რომ რუს ლამაზმანს ფერხთით ტაიმ აუტებისას ხალხის გამრთობი გოგოები უსხედან.

# ფოტონახტომი

სამიროებში, „დუბაი დუთი ფრი ოუფენზე“ შარშან მოპოვებული ტიტულის დასაცავად ჩასულა რაფაელ ნადალი და შეჯიბრის დაწყებამდე კარგ დროსაც ატარებს. ვაილდ ვედის აკვაპარკის აუზში ესპანელი ჩოგბურთელის ეს ნახტომი კი საგანგებოდ ფოტოგრაფებისთვისაა შესრულებული — აქაოდა, წყალქვეშაც მხიარული ბიჭი ვარო.



AFP ფოტოები

# აქლემს საწვავი გასთავებია



იმის ჩაძიებას არ მოვყვებით, აქლემის მართვა უფრო ძნელია თუ ავტომობილისა. უბრალოდ ვთქვათ, რომ სამხრეთ მაროკოში, მარზოუგას უდაბნოში რალია, რომელშიც ოდენ „რენოები“ ჯირითობენ ამ ავტოკონცერნის პრიზზე. სტარტი საფრანგეთში იყო, ფინიშამდე კი მრბოლებს ასეთი მეაქლემეებიც ხვდებიან, „ტრანსპორტს“ ხელით რომ ექაჩებიან.



# ცხენი კი არა, ოქროა

მოჯირითე გოგო მარტინა ჰინგისია, მაგრამ, მოდით, ცხენითაც დავინტერესდეთ. ჩოგბურთელი 7 წლის საილენტ ვიტნესზეა ამხედრებული, ეს ულაყი კი ჰონკონგის დოღების რეკორდსმენია. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, დოღებში 7 მილიონი დოლარი მოაგებინა თავის პატრონს და უეჭველია, კიდევ მოაგებინებს.

# ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს

დიდვარსკვლავთა გაკვეთილები დიახაც, რომ წაადგება ნორჩ სპორტსმენებს და უფრო მეტად დაგეშავს სავარჯიშოდ. ნბა-ს ლეგენდა სპენსერ ჰეივუდიც ამად სწვევია ვაშინგტონის შტატის ქალაქ ბელევიუს საკალათბურთო სკოლას. ჰეივუდი „სიეტლ სუპერსონიქსის“ მოთამაშე გახლდათ თავის დროზე.



AFP ფოტოები


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge